პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 258 (5059) | პარასკევი, 12 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციული საკითხები — პოლიტიკური ამოცანების დონეზე! („პრავდის" მოწინავე)

სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა 125-ათასიანი მიტინგის მიმართვა ამხანაგ სტალინს

თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი—ამხანაგ სტალინს

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება 1937 წლის 6 ნოემბერს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე (მე-2 და მე-3 გვ.)

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მუშურ-გლეხური მილიციის XX წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა (მე-3 გვ.)

რ. ხალილოვი—რუსეთში რკინიგზ[illegible] წელი (მე-4 გვ.)

შეთანხმების ხელმოწერა იტალიასა, [illegible] და იაპონიას შორის (1-ლი გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)

საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციული საკითხები—პოლიტიკური ამოცანების დონეზე!

ერთი თვე დარჩა იმ დღემდე, როდესაც მოხდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები. მეტწილ საარჩევნო ოლქებში უკვე ჩატარდა მშრომელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო თათბირები. მთელ საბჭოთა ქვეყანაში მთავრდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება.

„დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ", როგორც ვიცით, ითვალისწინებს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულთა რეგისტრაციას საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე. გუშინ რეგისტრირებულია კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა პირველი ჯგუფი. ესენი არიან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები ამხანაგ სტალინის მეთაურობით. მათი ღია წერილიდან, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, ცნობილია, თუ რომელ საარჩევნო ოლქებში იყრიან კენჭს ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ანდრეევი, ჩუბარი, კოსიორი, ჟდანოვი, ეჟოვი, ეიხე, ხრუშჩოვი და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები. ეს ცნობა, ეს სასიხარულო ამბავი საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და სოფელს მოედო.

გუშინ იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც კენჭისყრაზე თანხმობა განაცხადეს ამხანაგმა სტალინმა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, ხდებოდა მრავალრიცხოვანი კრებები, მიტინგები. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში მიტინგს ესწრებოდა დაახლოვებით 125 ათასი მშრომელი, მოლოტოვის ოლქში—80 ათასზე მეტი. ამ მიტინგებსა და კრებებზე მხურვალე სიტყვებით გამოდიოდნენ მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურენი, სპეციალისტები. ისინი ლაპარაკობდნენ საბჭოთა ხალხის თავდადებულ სიყვარულზე და უსაზღვრო ნდობაზე ბოლშევიკთა პარტიისადმი, მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო! საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ თვეში შედის. საჭიროა კიდევ და კიდევ გავსინჯოთ ორგანიზაციული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ყველა რგოლი. წამოვწიოთ ჩამორჩენილნი, ავანაზღაუროთ ის, რაც გამოგვრჩა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნების წარმატებას სწყვეტს პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა საარჩევნო უბნებში. მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების ბოლშევიკური გადაჭრა წარმოადგენს მთელი იმ პოლიტიკური მომზადების განუყოფელ, აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რომელიც პარტიამ გაშალა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. მზად უნდა იყოს ამომრჩეველთა სიები; საუბნო-საარჩევნო კომისიებს უკვე უნდა ჰქონდეთ კეთილმოწყობილი ბინები, რათა მთელი სიმძლავრით გააჩაღონ თავისი მუშაობა; რწმუნებულ პირთა დასახმარებლად პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეარჩიონ პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკთაგან პოლიტიკურად შემოწმებულ და მომზადებულ აქტივისტთა ჯგუფები.

მოდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაციის და საბჭოების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საარჩევნო კამპანიის ყველა ამ ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს. მაგალითად, ისეთი უაღრესად სერიოზული საქმე, როგორიცაა ამომრჩეველთა სიების შედგენა, მხედველობიდან გამორჩა ზოგიერთ საოლქო კომიტეტსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსაც კი და თვითდინებაზეა მინდობილი. ამის შედეგად ამომრჩეველთა სიები აქა-იქ უაღრესად დაუდევრად სდგება.

კიევის სტალინის რაიონში ტიმოფეევსკის ქუჩაზე გამოტოვებულია ორი სახლი, სადაც 60 ამომრჩეველი ცხოვრობს, ლენინის ქუჩაზე—სახლი, სადაც 158 ამომრჩეველი ცხოვრობს. პერმში, სვერდლოვსკის ოლქში, ამომრჩეველთა სიების პირველმა, ამასთან სრულებითაც არა ღრმა შემოწმებამ გამოამჟღავნა, რომ სიებში შეუტანელია 2.500 კაცზე მეტი. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველთა სიებში შეტანილი არ არიან მთელი უბნების, ქუჩების, დაბების მცხოვრებნი.

ამომრჩეველთა სია სახელმწიფოებრივი დოკუმენტია, მას შედგენა უნდა მთელი იმ პასუხისმგებლობითა და გულმოდგინებით, რომლითაც სდგება სახელმწიფოებრივი დოკუმენტები ჩვენს ქვეყანაში. ზოგიერთი ქარაფშუტა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი კი, უფის ხელმძღვანელთა მსგავსად, ამომრჩეველთა სიების გაფორმებას უმცროსი კლასების მოწაფეებს ანდობს. რაღა გასაკვირველია, რომ უფაში და სხვა ადგილებშიაც ჰრევენ ამომრჩეველთა გვარებს, სახელებს და მამის სახელებს.

სსრ კავშირის ძირითადი კანონის მუხლი 135 ზუსტად განსაზღვრავს, თუ რას უნდა ვგულისხმობდეთ საყოველთაო არჩევნებში. „დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც კი 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას. გარდა ჭკუაშეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით".

კუიბიშევის, ორენბურგისა და კურსკის ოლქებში ზოგიერთი მოქალაქე ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ, ისე, რომ ამისათვის არავითარი კანონიერი საფუძველი არა აქვთ. „პრავდა" უკვე იუწყებოდა, რომ კუიბიშევის ოლქში იყო შემთხვევები ჯანსაღი ადამიანების ჩარიცხვისა ჭკუაშეშლილებად. ამ აბუჩად აგდებას, რომელიც მხოლოდ ხალხის მტრებისთვისაა ხელსაყრელი, ჯერ კიდევ არ მოჰღებია ბოლო. გაუგებარია, როგორ შეუძლიათ ასეთი უმსგავსოების მოთმენა კუიბიშევის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს?

ამომრჩეველთა სიების შედგენას უთაურები ზოგჯერ აქცევენ მოსახლეობის აღწერად, რომელსაც ამასთანავე თან სდევს ბინების ღამით შემოვლა, სიებში ამომრჩეველთა პარტიულობისა და ეროვნების ჩაწერის მოთხოვნა. განა საჭიროა ვუმტკიცოთ პარტიის სარატოვისა და ალმა-ატის ოლქკომებს—ასეთი ყოვლად უხეში დამახინჯებანი აღნიშნულნი ამ ოლქებში,—რომ პირველ რიგში ისინი არიან პასუხისმგებელნი საარჩევნო კანონის ამ აღმაშფოთებელი დამახინჯებისათვის?

ბევრ პარტიულ მუშაკს, როგორც ეტყობა, ჰგონია, რომ საკმარისია ჩაატარო წინასაარჩევნო კრებები, წარმოსთქვა რამდენიმე მხურვალე სიტყვა, და ყველაფერი უკვე გაკეთებულია იმისათვის, რომ უზრუნველჰყო არჩევნების წარმატება. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს თუნდაც შემდეგი გარემოება: სტალინგრადში, ივანოვოში და მთელ რიგ სხვა ადგილებში რწმუნებული პირები, რომლებიც არჩეულ იქნენ წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე, ჯერ კიდევ არ შესდგომიან თავის დიდ, უაღრესად მნიშვნელოვან სამუშაოს მხოლოდ იმ უბრალო მიზეზით, რომ მათთვის არ განუმარტავთ მათი ფუნქციები. საჭიროა დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო დაუშვებელ უგულვებელყოფას არჩევნების ჩატარების ორგანიზაციისა და ტექნიკის საკითხებისადმი. ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების დავიწყება უცხოა ბოლშევიზმის სულისათვის, ეწინააღმდეგება ლენინისა და სტალინის, პარტიის ჩვენი ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის მითითებებს.

წინასაარჩევნო კრებები ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, წითელი არმიის ნაწილებში, მრავალათასიანი წინასაარჩევნო თათბირები, მიტინგები და კრებები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს დეპუტატობის პირველ კანდიდატთა—პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა—ამხანაგ სტალინის მეთაურობით — რეგისტრაციასთან დაკავშირებით, — მთელ მსოფლიოს უჩვენებენ სსრ კავშირის ხალხთა უდიდეს შემჭიდროვებას ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ.

კოლოსალური პოლიტიკური აღმავლობა მეფობს მთელ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობა არავის არ აძლევს უფლებას უგულვებელჰყოს საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები, რომლებმაც სწორად უნდა უზრუნველჰყონ ჩვენი სამშობლოს თვითეული მშრომელის მიერ თავისი უაღრესად მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თვითდინება აქაც, საარჩევნო კამპანიაში, დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ისინი. ვინც ენდობა თვითდინებას, ხელს უწყობენ მტრული ელემენტების ხრიკებს, რომელნიც ცდილობენ გვავნონ, ჩაშალონ არჩევნები თუნდაც ცალკეულ უბნებში.

უფრო ფართოდ გავშალოთ ორგანიზაციული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მასებში. მეტი ყურადღება საარჩევნო უბნებს, სადაც წყდება საარჩევნო კამპანიის წარმატება!

„პრავდის" მოწინავე, 11/XI

სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა 125-ათასიანი მიტინგის მიმართვა

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

უსაზღვრო სიხარულით და უდიდესი მღელვარებით გავიგეთ ჩვენ, სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა, რომ თქვენ დათანხმდით კენჭი იყაროთ ქალაქ მოსკოვის საარჩევნო ოლქში, რომელიც თქვენს დიდებულ სახელს ატარებს.

ჩვენი გული აღსავსეა კანონიერი სიამაყით იმის გამო, რომ გვაქვს უდიდესი პატივი ხმა მივცეთ იმას, ვისაც განუხრელად მიჰყავდა და მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ლენინის გზით, ვინც დაიცვა ლენინიზმი პარტიისა და ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში, ვისი სახელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშას წარმოადგენს, — ხმა მივცეთ დიდ სტალინს. ჩვენი ხმის მიცემით ჩვენ გამოვხატავთ ჩვენი სამშობლოს—სსრ კავშირის ყველა მშრომელის ერთსულოვან ნება-სურვილს და მისწრაფებას გიხილოთ თქვენ უზენაესი საბჭოს პირველ დეპუტატად.

ხმას გაძლევთ რა თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ხმას ვაძლევთ უძლეველ, მძლავრ პარტიას ბოლშევიკებისას,—ლენინ-სტალინის პარტიას, რომელმაც ჩვენ მიგვიყვანა კომუნისტური საზოგადოების პირველი ეტაპის — სოციალიზმის განხორციელებამდე.

ხმას გაძლევთ რა თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ხმას ვაძლევთ ჩვენი დიადი სამშობლოს მილიონთა ბედნიერ, თავისუფალ, საამურ, შეძლებულ ცხოვრებას, ჩვენ ხმას ვაძლევთ საბჭოების ქვეყნის კიდევ უფრო შესანიშნავ მომავალს.

ხმას გაძლევთ რა თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ხმას ვაძლევთ საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას, სოციალიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში, მთელი კაცობრიობის თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას.

1937 წლის 12 დეკემბერს მთელი ჩვენი ქვეყანა, როგორც ერთი კაცი, ჩაუშვებს რა ყუთებში თავის საარჩევნო ბიულეტენებს, ჩვენთან ერთად ცხადჰყოფს თავის სიყვარულს და ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, სოციალისტურ გამარჯვებათა გენიალური შემოქმედისა და ორგანიზატორის—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.

ჩვენ მიერ საბჭოების ქვეყნის საუკეთესო, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგული ადამიანებისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემა გამანადგურებელი ლახვარი იქნება ხალხის ყველა მტრისათვის, სისხლიანი ფაშიზმისათვის, რომელიც ცდილობს გააჩაღოს ომი მუშათა და გლეხთა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ჩვენ მიერ ხმის მიცემას მხარს უჭერენ დემოკრატიული ესპანეთის მშრომელნი და მრავალმილიონიანი ჩინეთის მშრომელი ხალხი, რომელნიც იარაღით ხელში იბრძვიან ფაშისტ ინტერვენტების წინააღმდეგ და იცავენ თავის ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

ჩვენ მიერ ხმის მიცემას მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს პროლეტარები და ჩაგრული ხალხები, იმიტომ, რომ თქვენში, ამხანაგო სტალინ, კონცენტრირებულია მშრომელთა ნებისყოფა გამარჯვებისაკენ ყველა ქვეყნის პროლეტარების მძლავრი ძალა და დაუცხრომელი რევოლუციური ენტუზიაზმი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლაში.

გასახელებთ რა თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ჩვენ ფიცს ვდებთ, რომ ბოლშევიკების პარტიის პირველი დაძახებისთანავე, თქვენი პირველი დაძახებისთანავე ჩვენ სიხარულით შევწირავთ მთელს ჩვენს ძალღონეს, ხოლო თუ საჭირო იქნება, სიცოცხლესაც კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ, ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ მივაღწიეთ ჩვენ გამარჯვებებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ამავე უძლეველი დროშის ქვეშ გავწევთ წინ კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს—სსრ კავშირს!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ, პირველ კანდიდატს უზენაეს საბჭოში, დიდ სტალინს!

ქ. მოსკოვი.

თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი

ამხანაგ სტალინს

ჩვენო მშობლიურო, საყვარელო ბელადო, მასწავლებელო და მეგობარო!

თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი, რომელიც შეიკრიბა ქალაქ თბილისის მოწინავე ადამიანებთან ერთად, სსრ კავშირში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავის დღესასწაულობის დღეს, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, სსრ კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ მასწავლებელს, ბელადს და მეგობარს, სოციალიზმის ქვეყნის კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს მუშათა, წითელარმიელთა და წითელი არმიის მეთაურთა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა და ქალაქ თბილისის ყველა მშრომელთა სახელით!

დღეს, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე ხელისუფლების უზენაესი ორგანოს არჩევნების წინ, სსრ კავშირის ხალხები აჯამებენ ბრძოლისა და გამარჯვებათა იმ გმირულ გზას, რომელიც განვლეს მათ ლენინ-სტალინის დროშით და რომელმაც ჩვენი ქვეყანა მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე.

ჩვენი მრავალერიანი სამშობლოს ხალხთა შემოქმედებითი მუშაობის ოცმა წელმა, ლენინურ-სტალინური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ჩვენი სახელოვანი სამშობლო მსოფლიოს მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გახადა, დიდად აამაღლა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე და გადააქცია ჩვენი სამშობლო სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

თერთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ძმურ თანამეგობრობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მეფის ყოფილი კოლონია, მენშევიკთა ბატონობის დროს საბოლოოდ განადგურებული,—გადაიქცა მოწინავე და აყვავებულ ქვეყნად, სოციალისტური სიუხვის, ბედნიერი, საამური ცხოვრების ქვეყნად.

ფაშიზმის საზიზღარი დაქირავებულნი, სამშობლოს გამცემნი, კაპიტალიზმის ბილწი რესტავრატორები — ხალხის მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტები, ცდილობდნენ წაერთმიათ ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი, აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება.

არ გამოუვიდათ და არც არასოდეს გამოუვათ!

ისე, როგორც არასოდეს, მძლავრი და უძლეველია დიადი საბჭოთა კავშირი.

უძლეველი წითელი არმია—სსრ კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის მძლავრი ბურჯი—ერთგულ დარაჯად უდგას ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართ.

დაე ახსოვდეთ ომის ფაშისტ გამღვივებლებს, რომელნიც ამზადებენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, რომ სოციალიზმის ქვეყნის ხალხები გასრესენ ყოველ მტერს მის საკუთარ ტერიტორიაზე, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს იგი.

გაუმარჯოს სსრ კავშირში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა ბელადს, მასწავლებელს და მეგობარს დიდ სტალინს!

თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის აღნიშვნა უცხოეთში

მისალმება საბჭოთა კავშირის ხალხებს

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). მშვიდობიანობისა და სსრ კავშირთან მეგობრობის კონგრესმა, რომლის სხდომები ედინბურგში (შოტლანდია) მიმდინარეობს, მისალმებით მიმართა საბჭოთა კავშირს. ამ მისალმებაში იგი სსრ კავშირის ხალხებს ულოცავს დიდი — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს და აღფრთოვანებას გამოსთქვამს სსრ კავშირის უდიდესი წარმატებების გამო.

მისალმებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია სტალინური კონსტიტუციის უდიდესი მნიშვნელობა.

კონგრესს დაესწრო 274 დელეგატი 121 ორგანიზაციიდან.

მიტინგები ოქტომბრის ოცი წლისთავის პატივსაცემად ოქსფორდში

ლონდონი, 10 ნოემბერი (საკდესი). ოქსფორდში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავის დღესასწაულის გამო მოეწყო ორი მიტინგი — ქალაქის მოსახლეობის მიტინგი და ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტთა მიტინგი.

სტუდენტთა მიტინგს დაესწრო 450 სტუდენტი. მიღებულ რეზოლუციებში კრებათა მონაწილენი მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ხალხებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

პროფესიული ორგანიზაციების ნიუ-კესტლის საბჭომაც მიიღო რეზოლუცია, რომელშიც პროფესიული ორგანიზაციები მიულოცავენ საბჭოთა კავშირის ხალხებს დიდი ოქტომბრის ოცი წლისთავის დღესასწაულს.

ოქტომბრის 20 წლისთავისათვის მიძღვნილი კრებული

შანხაი, 6 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ლიბაო" იუწყება, რომ „ნაციონალური ხსნის კულტურული ასოციაციის" პრესის განყოფილებამ მოამზადა სსრ კავშირის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. კრებულში მოთავსებული იქნება სტატიები სუნ ძინლინისა (სუნ იატ-სენის ქვრივი), ხუ-იუ-ძისა (სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე შანხაიში) და სხვ.

გუშინ გამოვიდა ჟურნალ „მსოფლიო კულტურის" მორიგი ნომერი. მასალის უმეტესი ნაწილი მიძღვნილია სსრ კავშირის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავისადმი.

„იაუნაკას ზინიასი" ოქტომბრის XX წლისთავის გამო

რიგა, 10 ნოემბერი (საკდესი). „იაუნაკას ზინიასი" ათავსებს სტატიას სათაურით „ჩვენი აღმოსავლეთელი მეზობლის იუბილესათვის". „დღეს, აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირის ოცი წლისთავს, — სწერს გაზეთი,—ლატვია თავის დიდ აღმოსავლეთელ მეზობელს გულწრფელად უსურვებს წარმატებას მის მუშაობაში საშინაო მშენებლობისა და საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვის ხაზით". აღნიშნავს რა უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა კავშირმა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურაში და მშვიდობიანობისათვის ბრძოლის მხრივ კოლექტიური უშიშროების ჩარჩოებში, — გაზეთი დასასრულ სწერს: „აღვნიშნავთ, რა ჩვენი დიდი მეზობლის 20 წლისთავს, ჩვენ მთელი სულითა და გულით გამოვთქვამთ სურვილს, რათა ურთიერთ ნდობა და მეგობრული თანამშრომლობა ორივე სახელმწიფოს შორის უფრო-დაუფრო განმტკიცდეს ლატვიისა და სსრ კავშირის სასარგებლოდ".

ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ლინ სენის დეპეშა

მის აღმატებულებას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს კალინინს.

მოსკოვი.

სსრ კავშირის რევოლუციის მეოცე წლისთავის გამო ჩემს გულწრფელ მოლოცვასა და გულითად სურვილებს გიძღვნით ჩინეთის მთავრობისა და ხალხის მხრით თქვენი დიადი ქვეყნის მუდმივი კეთილდღეობისათვის.

ლინ სენი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

9 ნოემბერს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი რკინიგზის ტრანსპორტის მიერ ტვირთების (ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთი და სხვ.) დატვირთვა-გადმოტვირთვის საკითხებზე.

თათბირს დაესწრნენ ამიერ-კავკასიის რკინიგზის განყოფილებათა უფროსები, განყოფილებათა პოლიტგანების უფროსები და სამმართველოს სამსახურთა და განყოფილებათა უფროსები, დიდი სადგურების უფროსები, იმ სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც რკინიგზის კლიენტურას წარმოადგენენ, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაკები.

საინფორმაციო ცნობით გამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ამხ. **კიკნაძე**. მან მოიყვანა მთელი რიგი ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ დატვირთვის სამუშაოთა ცუდ ორგანიზაციას მთელ რიგ გადამწყვეტ სადგურებში, ვაგონების დიდ გაცდენას და სხვა ნაკლოვანებებს, რომელთა შედეგად გზაზე, მოძრავი შემადგენლობის დიდი გარდამეტის არსებობისას, არ სრულდება ვაგონებისა და ცისტერნების ბრუნვის ნორმები. ცუდათ სრულდება აგრეთვე მატარებლების მოძრაობის გრაფიკი. სადგურების ცუდი მუშაობის ერთერთ ძირითად მიზეზად მომხსენებელმა დაასახელა კომპლექსური ბრიგადების არარსებობა.

ინფორმაციით განყოფილებათა მუშაობის შესახებ გამოვიდნენ ამხ-ბი **კვინიკაძე** — თბილისის განყოფილების უფროსი, **ტაბატაძე** — ხაშურის განყოფილების უფროსი, **პაიჭაძე** —შორაპნის განყოფილების უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი და **ბარამიძე**—სამტრედიის განყოფილების უფროსი.

კამათში გამოვიდნენ ამხ-ბი **ლეშჩინსკი** („ზაგოტზერნო"), **იოსელიანი** (თბილისის სატვირთო სადგურის უფროსი), **ცერცვაძე** (ა.-კ. რკ. გზ. მე-4 განყოფილების დატვირთვა-გადატვირთვის კანტორის უფროსი), **ზოდელავა** (შინსახკომი), **გარიშვილი** (ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს სავაგონო სამსახურის უფროსი) და **გრიგორიანი** ა.-კ. რკ. გზ. სართქლმავლო სამსახურის უფროსი).

ამხ. ლ. ბერიამ თავის შენიშვნებში ცალკეული გამოსვლების გამო დასახა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები და მისცა პრაქტიკული მითითებანი გზის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

თათბირმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა დასახოს და დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების გაუმჯობესებისათვის და ამასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსს სახელმწიფო უშიშროების მაიორს

ამხ. შ. წერეთელს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ ულოცავს საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის მებრძოლთ, პოლიტმუშაკებსა და უფროსთა შემადგენლობას მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოების სახელოვანი არსებობის ოცი წლისთავს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულია, რომ საქართველოს მუშურ-გლეხური მილიცია, დაუნდობლად იბრძოლებს რა ხალხის მტრების წინააღმდეგ, შემდეგშიც მტკიცედ იდგება სანიმუშო რევოლუციური წესრიგისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე

მუშურ-გლეხური მილიციის მუშაკებს

პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლი ორგანოს 20 წლისთავის აღსანიშნავ დღეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს მუშურ-გლეხური მილიციის მიღწევებს რევოლუციური წესრიგის გატარების, საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დაცვის, ხულიგნობასა და სპეკულაციასთან ბრძოლის საქმეში.

საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ოქტომბრის ცეცხლში დაბადებული მუშურ-გლეხური მილიცია კიდევ უფრო გააძლიერებს რევოლუციურ შემტევ სიფხიზლეს ხალხის მტრებთან და დანაშაულობის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლაში და უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ-ის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მშვიდობიან მშენებლობას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მილიციას, პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლ ორგანოს.

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიზმის სტალინურ კონსტიტუციას.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს—დიდ სტალინს.

საქართველოს სსრ-ის ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

◇

საფრანგეთის კომპარტიის წერილი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას

პარიზი, 7 ნოემბერი (საკდესი). გუშინ გაიხსნა სოციალისტური პარტიის „ნაციონალური საბჭოს" (ხელმძღვანელობა) სხდომა. კომპარტიამ მისასალმებელი წერილით მიმართა სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობას, სადაც გამოსთქვამს იმედს, რომ განმტკიცებული იქნება მოქმედებათა ერთიანობა. კომუნისტები, აღნიშნულია წერილში, მზად არიან იკისრონ პასუხისმგებლობა იმ მთავრობაში, რომელიც შედგენილი იქნება სახალხო ფრონტის მსგავსად. შემდეგ წერილში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია 1937 წლის დამლევამდე განხორციელდეს გადამწყვეტი ნაბიჯები ერთიანობის სასარგებლოდ. კომუნისტები იმედს გამოსთქვამენ, რომ კომუნისტური და სოციალისტური პარტიების გაერთიანების კომისია იპოვნის ნიადაგს შეთანხმებისათვის, რომელიც შესაძლებელს გახდის ერთი პარტიის შექმნის განხორციელებას მით უმეტეს, რომ კომპარტიამ უკვე განაცხადა თავისი სრული თანხმობა იმ პირობებზე, რომლებიც სოციალისტური პარტიის ყრილობამ წამოაყენა მარსელში.

შეთანხმების ხელმოწერა იტალიასა, გერმანიასა და იაპონიას შორის

რომი, 6 ნოემბერი (საკდესი). დღეს დილის 11 საათზე ხელმოწერილ იქნა ოქმი. ამ ოქმის თანახმად, იტალია ხდება მონაწილე გერმანია-იაპონიის „ანტიკომინტერნული შეთანხმებისა". რომელიც დადებულია 1936 წლის 25 ნოემბერს. იტალიის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ, გერმანიის მხრივ—რიბენტროპმა და იაპონიის მხრივ—იაპონიის ელჩმა რომში—ხოტამ. ოქმი აწესებს, რომ იტალია უერთდება „ანტიკომინტერნულ შეთანხმებას" და 1936 წლის 25 ნოემბრის დამატებით ოქმს. დათქმულია აგრეთვე ჩასთვალონ იტალია 1936 წლის 25 ნოემბრის თავდაპირველი შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოდ.

„კომპენსაცია" „ანტიკომინტერნულ შეთანხმებაში" მონაწილეობისათვის

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). როგორც „დეილი ჰერალდის" შანხაელი კორესპონდენტი სწერს, იაპონია დაჰპირდა გერმანიასა და იტალიას, რომ „ანტიკომინტერნულ შეთანხმებაში" მონაწილეობისათვის კომპენსაციის სახით მისცემს მათ საშუალებას საერთოდ ისარგებლონ ვაჭრობის მონოპოლური უფლებებით ჩინეთის იმ რაიონებში, რომლებიც იაპონელებმა დაიკავეს ახლანდელი სამხედრო მოქმედების დროს.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება 1937 წლის 6 ნოემბერს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე

I. ჩვენი გამარჯვების მნიშვნელობა

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები უდიდესი სიამაყის შეგნებით დღესასწაულობენ ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავს. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ შორის იმათ, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრება 1917 წლამდე დაიწყო, საკუთარი გამოცდილებით აქვთ წარმოდგენილი ოქტომბრის რევოლუციის მიერ ჩვენს ცხოვრებაში გამოწვეული ძირითადი ცვლილებანი. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე აღზრდილი თაობა მონაწილეობას იღებდა ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის ძალების საბოლოო განადგურებასა და ახალი, სოციალისტური წყობილების შექმნაში. ამ დღეებში ყველა ჩვენს ქალაქსა და სოფელში, ქვეყნის ყოველ ცოცხალ კუთხეში, მშრომელთა აზრი მიპყრობილია სოციალისტური რევოლუციის დიადი ოცი წლისთავის ამბებისაკენ, მისი სახელოვანი მონაპოვრებისაკენ და იმ ნათელი მომავლისაკენ, რომელიც ჩვენს წინაშე გადაიშალა.

არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები, არამედ კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელებიც განიცდიან ამ დღეებში სიხარულის გრძნობას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების გამო. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა კავშირის ძალების განუხრელ ზრდაში, ამ ძალების გაფურჩქვნაში, რაც მათ თვალწინ ხდება, ისინი ხედავენ, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ მშრომელებს, როდესაც ისინი სახელმწიფო ძალაუფლებას დაიპყრობენ. რაც უნდა ჩაიდინონ ჩვენმა მტრებმა, ოქტომბრის რევოლუციის მტრებმა, რაც უნდა მოჰყირონ მათ მისი მნიშვნელობის დასამცირებლად, სიმართლე ჩვენი რევოლუციის შესახებ, — ხალასი, შეუფერადებელი სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ,—გზას იკვლევს ყველგან, იჭრება შორს სსრ კავშირის საზღვრების გადაღმა და თავისკენ იზიდავს ყოველივე შეგნებულს, ყოველივე იმას, რასაც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი შესწევს. **(მქუხარე ტაში).**

ოქტომბრის რევოლუციის დიადი ძალა და საერთაშორისო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან განახორციელა მშრომელთა საუკეთესო ოცნებები ექსპლოატატორთა უღლისაგან და კაპიტალისტებთან და მემამულეებთან მონური შრომისაგან განთავისუფლებაზე. მან განახორციელა ის, რაზედაც ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები მრავალ და მრავალ საუკუნოთა მანძილზე.

განვლო არაერთმა ათასმა წელმა ეგრეთწოდებულ „ახალ ერამდე“. განვლო „ახალი ერის“ კიდევ 1900-ზე მეტმა წელმა, როდესაც, ბოლოს, აღმოჩნდა ძალა, აღმოჩნდა რევოლუციური ორგანიზაცია, რომელმაც წაიყვანა მშრომლები საბრძოლველად კაპიტალის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1917 წელს მუშებმა გლეხებთან ერთად გაანადგურეს თავისი მჩაგვრელები. ხელთ იგდეს ძალაუფლება და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში.

სოციალისტური რევოლუცია დააჩქარა პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა. მან სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა არა მარტო რუსეთის მუშები და ხალხის მასები. მაგრამ, მსოფლიო კაპიტალიზმის ყველაზე სუსტი რგოლი იმ დროს აღმოჩნდა ძველი, თვითმპყრობელური, ბურჟუაზიულ - მემამულური რუსეთი. მეორე მხრით, მთელს მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, რომელმაც შექმნა ბოლშევიკური პარტია დიდი ლენინის ხელმძღვანელობით. **(ტაში).**

გაჭიანურებულმა იმპერიალისტურმა ომმა თავდაპირველად გამოიწვია ცარიზმის დაღუპვა. მან იმდენად გამოფიტა რუსეთის ძალები, რომ სახელმწიფოს ემუქრებოდა სრული კრახი, ნგრევა. მთელი ხალხი მოითხოვდა ზავს, შესვენებას. ხელისუფლების სათავეში მყოფი კადეტები, ესერები და მენშევიკებიც, რომლებსაც მხარს უჭერდნენ რუსეთის ბურჟუაზია და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები, გაჰკიოდნენ იმაზე, რომ განეგრძოთ ომი „რადაც უნდა დაჯდომოდათ“. ამ ხელისუფლებას უნდოდა შეენარჩუნებინა კაპიტალიზმი და ბურჟუაზიული კლასების გაბატონებული მდგომარეობა. იგი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ გლეხობის მრავალრიცხოვანი მასა ცარიზმს იმისათვის ამხობდა, რათა უზრუნველეყო მემამულეთა მიწების გადასვლა თავის ხელში. გლეხებისათვის მიწის გადაცემის ნაცვლად, კადეტ-ესერ-მენშევიკთა ხელისუფლება მათ ცარიელი დაპირებებით კვებავდა.

მუშებისა და ქალაქის სხვა მშრომელი ფენების მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, კერენსკის მთავრობა კი სულ უფრო-და-უფრო აშკარავებდა თავის სრულ უუნარობას შეეცვალა მდგომარეობა. ბურჟუაზიული ძალაუფლების დამხობის საკითხი გადაჭრით დაისვა. მაშინ ბოლშევიკურმა პარტიამ მოწოდებით მიმართა მუშებს და ღარიბ გლეხობას დამდგარიყვნენ რევოლუციის გზაზე, რომელიც, ლენინის თქმით, „მოგვცემს გამარჯვებას ექსპლოატატორებზე, გლეხებს მისცემს მიწას, ხალხებს მისცემს ზავს, უტყუარ გზას გაუხსნის მსოფლიო სოციალისტური პროლეტარიატის ძლევამოსილ რევოლუციას“.

ეს განსაზღვრავდა ლენინი რევოლუციის მიზნებს ოქტომბრის აჯანყების წინ. ეს მიზნები ჩვენს რევოლუციას განასხვავებდნენ სხვა რევოლუციებისაგან.

მთელი საშინაო და საგარეო ვითარების გამო ოქტომბრის რევოლუციამ მიიღო განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც განსხვავდებოდა სხვა რევოლუციებისაგან. აჯამებდა რა ოქტომბრის რევოლუციის პირველ შედეგებს საბჭოების სრულიად-რუსეთის ყრილობაზე 1918 წლის იანვარში ლენინი ამბობდა:

„ყველა დიდი რევოლუცია მუდამ ისწრაფოდა ძირფესვიანად აღგავა ძველი კაპიტალისტური წყობილება, ისწრაფოდა არა მარტო მოეპოვებინა პოლიტიკური უფლებები, არამედ გამოეგლიჯა კიდეც თვით სახელმწიფო მართვა - გამგეობა გაბატონებული კლასების ხელიდან, მშრომელთა ყველა ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების ხელიდან, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაედო საზღვარი ყოველგვარი ექსპლოატაციისათვის და ყოველგვარი ჩაგვრისათვის. დიდი რევოლუციები სწორედ იქითკენ ისწრაფოდნენ, რომ დაემსხვრიათ ეს ძველი ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატი, მაგრამ დღემდე ამის ბოლომდე მიყვანა ვერ ხერხდებოდა. და აი რუსეთმა, თავისი სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებათა გამო, ახლა პირველმა მიაღწია სახელმწიფო მართვა-გამგეობის ამ გადასვლას თვითონ მშრომელთა ხელში. ახლა ჩვენ, ისტორიული ნაგავისაგან გაწმენდილ გზაზე, შევუდგებით სოციალისტური საზოგადოების მძლავრი, ნათელი შენობის აგებას, იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების ახალი, ისტორიაში არნახული ტიპი, რომელიც რევოლუციის ნება-სურვილით მოწოდებულია გასწმინდოს დედამიწა ყოველგვარი ექსპლოატაციისა, ძალადობისა და მონობისაგან“. **(მქუხარე ტაში).**

ამ სიტყვებში ლენინის მიერ აღნიშნულია ჩვენი რევოლუციის გადამწყვეტი განსხვავება ყველა სხვა რევოლუციისაგან.

ყველა სხვა რევოლუციები საუკეთესო შემთხვევაშიც კი, არ მიდიოდნენ მშრომელთა პოლიტიკური უფლებების ერთგვარ გაფართოებასა და მდგომარეობის დროებითს შემსუბუქებაზე უფრო შორს, თუ გამოვრიცხავთ პარიზის კომუნას მისი ხანმოკლე წარმატებით, როდესაც ძალაუფლება მშრომელთა ხელში იყო. ყველა ეს რევოლუცია ძალაუფლებას მშრომელების ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა ხელში სტოვებდა. ერთ ექსპლოატატორებს ხელისუფლების სათავეში სცვლიდნენ სხვები, მაგრამ პრივილეგიური კლასები გაბატონებულ მდგომარეობას არ ჰკარგავდნენ. ყველა ამ რევოლუციის დროს ბურჟუაზია ახერხებდა შეენარჩუნებინა თავისი, **ბურჟუაზიული, დიქტატურა,** თავისი ძალაუფლება.

ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია ბურჟუაზიულ რევოლუციებში მონაწილე მშრომელთა ერთგვარი იმედგაცრუება. მშრომელნი ამ რევოლუციებში მონაწილეობდნენ თავისი მიზნებით, თავისი მისწრაფებებით და იმედებით, რომ, ბოლოსდაბოლოს, განთავისუფლებულიყვნენ ძალაუფლების მქონე კლასების ბატონობისაგან. მაგრამ ყველა ბურჟუაზიულ რევოლუციას მოსდევდა ის, რომ ეს მისწრაფებები და იმედები იმსხვრეოდა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობაზე, რომლებიც ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ. ყველა ეს რევოლუცია თავდებოდა იმით, რომ ხალხი თავს გრძნობდა დაუკმაყოფილებლად, გრძნობდა, რომ მან მიზანს ვერ მიაღწია. ეს მასებში წარმოშობდა იმედგაცრუებას რევოლუციისადმი, მშრომელთა უნდობლობას თავისი ძალებისადმი, რაც ხელსაყრელი იყო მჩაგვრელი კლასებისათვის.

1917 წლის ოქტომბერში მოხდა მსოფლიო - ისტორიული მობრუნება წინანდელი რევოლუციებისაგან, ბურჟუაზიული ტიპის რევოლუციებისაგან ახალი, სოციალისტური ტიპის რევოლუციისაკენ. ისტორიაში პირველად იქნა დამხობილი ექსპლოატატორთა ძალაუფლება, გაიმარჯვა **მუშათა კლასის დიქტატურამ,** სახელმწიფო მართვა-გამგეობა გადავიდა მშრომელთა ხელში. მონებიდან, ჩაგრულებიდან, ექსპლოატირებულებიდან მშრომელნი გადაიქცნენ თავისუფალ ადამიანებად და თავისი ბედიღბლის სრულ ბატონ-პატრონებად. მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა, ჩადგნენ რა ისინი ხელისუფლების სათავეში, პირველად მიიღეს შესაძლებლობა მოაწყონ ცხოვრება ისე, როგორც თვითონ მათ უნდათ. გადაჭრეს რა ძირითადი საკითხი, ძალაუფლების საკითხი, მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად იწყო ახალი ცხოვრება, შეუდგა „სოციალისტური საზოგადოების ნათელი შენობის“ აგებას.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით აღსრულდა მშრომელთა და კაცობრიობის ყველა საუკეთესო წარმომადგენელთა ოცნებანი. ამ დროიდან დაიწყო ერთიმეორის საწინააღმდეგო პრინციპებზე დაფუძნებული ორი სამყაროს შეჯიბრება, ახალი საზოგადოების შეჯიბრება ძველთან, სოციალიზმის შეჯიბრება კაპიტალიზმთან. ამ შეჯიბრებისაკენ არის მიპყრობილი ყურადღება ყველა ქვეყანაში.

ძველი საზოგადოების საფუძველი იყო კერძო საკუთრება, როცა ყველა საწარმოო საშუალება კაპიტალისტებს, მდიდრებს ეკუთვნოდა. ამაზე, კაპიტალის ძლიერებაზე, იყო დაყრდნობილი კაპიტალისტების ძალაუფლება. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა და გააუქმა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება, დაამყარა რა მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება. საწარმოო საშუალებანი და იარაღნი უკვე ეკუთვნიან ან სოციალისტურ სახელმწიფოს ან ჩვენს, სოციალისტურ კოლმეურნეობებსა და კოოპერაციას. ერთს და მეორე შემთხვევაშიც ისინი უკვე ემსახურებიან არა სხვების ხარჯზე ცალკეულ პირთა გამორჩენის ინტერესებს, არამედ ხალხის ინტერესებს, მშრომელთა ინტერესებს. ეს მცირეოდენი ცვლილება კი არ არის, არამედ საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნაა, მისი ეკონომიური საფუძვლის ძირფესვიანი გადაკეთებაა.



მიწის კერძო საკუთრების გაუქმებამ, ფაბრიკებისა და ქარხნების კერძო საკუთრების გაუქმებამ, რკინიგზებისა და ქალაქებში საცხოვრებელ სახლების კერძო საკუთრების გაუქმებამ და სხვა ამგვარმა ღონისძიებებმა გამოიწვიეს კაპიტალისტური კლასების და ყველა პარაზიტული, არამშრომელი ელემენტების სრული ლიკვიდაცია ჩვენს ქვეყანაში. ჩვენში აღარ არიან არც კაპიტალისტები, არც მემამულეები, არც კულაკები, არც ვაჭრები, არც ხალხის სხვა წურბელები. ჩვენი კანონები აღარ უშვებენ მათს არსებობას და რაიმე პარაზიტების ახალ წარმოშობას. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება დამყარებულია. მუშათა და გლეხთა მეგობრულ ურთიერთობაზე, რომლებიც მშრომელთა საბჭოების საშუალებით მართავენ ქვეყანას და აშენებენ თავის ახალ ცხოვრებას.

განა სწორედ ამაში არ მდგომარეობდა ოქტომბრის რევოლუციის ძირითადი მიზნები? უსათუოდ, ამაში მდგომარეობდა. მაშასადამე, მუშათა კლასმა მშრომელ გლეხებთან ერთად, ხელთ იგდო რა ძალაუფლება, ნამდვილად გამოიყენა იგი, რათა განეხორციელებინა ოქტომბრის რევოლუციის ძირითადი მიზნები. თუ რა უდიდესი წარმატებით ხორციელდებოდა ეს მიზნები, რაც ჩვენ მიერ უკვე მოპოვებულია, ახლა კი ჩაწერილიცაა ჩვენს ძირითად კანონში, — ყოველივე ამას მარტივი, მაგრამ ცეცხლებრ ელვარე სიტყვებით ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის მიერ მიღებული—სტალინური კონსტიტუცია. **(ტაში).** სტალინური კონსტიტუცია ლაპარაკობს ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილ წარმატებაზე; იმაზე, რომ ჩვენმა რევოლუციამ ნამდვილად მიაღწია თავის ძირითად მიზანს და გაუკაფა გზა ახალ დიად მონაპოვრებს.

აქედან — ოქტომბრის რევოლუციის და მის მიერ შექმნილი ახალი წყობილების საერთაშორისო მნიშვნელობის ზრდა.

ახალი წყობილების საფუძველს წარმოადგენს მშრომელი მასების მონაწილეობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. უამისოდ საბჭოთა ხელისუფლების რაიმე წარმატებებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურამ და განხორციელებულ იქნა უმაღლესი ტიპის დემოკრატიზმი, სოციალისტური დემოკრატიზმი, რომელიც განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ჰქმნის სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ყველა მშრომელის მონაწილეობისათვის, მხოლოდ ამის წყალობით არსებობს და განუხრელად მაგრდება საბჭოთა სახელმწიფო. **(ტაში).**

ეს დემოკრატიზმი არა ჰგავს ბურჟუაზიული სახელმწიფოების დემოკრატიზმს. ვინც ეს ვერ გაიგო, ის არ არის სოციალისტი, არ არის პროლეტარული რევოლუციონერი, ის არ შეიძლება, იყოს შეგნებული მომხრე მშრომელთა განთავისუფლებისა კაპიტალის უღლისგან.

დემოკრატიული ტიპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს აღიარებენ მოქალაქეთა უფლებების ფორმალურ თანასწორობას. მაგრამ ერთნი მათგანნი ისევე რჩებიან ექსპლოატირებულნი და ჩაგრულნი, როგორც იყვნენ, მეორენი კი—თავისი ხალხის ექსპლოატატორებად და მჩაგვრელებად! ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ ქვეყანაშიც კი დემოკრატია მშრომელებისათვის შეზღუდულია ვიწრო ჩარჩოებით და მას ითმენენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის არ არღვევს ექსპლოატატორული კლასების გაბატონებულ მდგომარეობას. ბურჟუაზიულ ქვეყნებში დემოკრატიზმს მდგომარეობის ბატონ-პატრონნი თავისი ინტერესებისათვის იყენებენ, ხოლო მშრომლების პოლიტიკურ უფლებათა ყოველგვარი გაფართოება მეტად წინააღმდეგობას ხვდება.

ჩვენი წყობილება სხვა რამეს ეყრდნობა. ჩვენი წყობილება მით უფრო მტკიცე ხდება, რაც მშრომელნი უფრო აქტიურად და უფრო ყოველმხრივ ღებულობენ მონაწილეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

სტალინურმა კონსტიტუციამ მოგვცა ისეთი ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ჩვენ ვდგევართ მშრომელთა დემოკრატიზმის ყოველმხრივი განვითარების ნიადაგზე, რომ ჩვენ მივდივართ იმ გზით, რათა ყოველმხრივად გაძლიერდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს საქმეებში და მთელს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენი წყობილების დემოკრატიზმი ხასიათდება არა მარტო იმით, რომ მოსპობილია ყოველგვარი შეზღუდვა საარჩევნო უფლებებში საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისათვის, არა მარტო იმით, რომ ქალი სავსებით თანასწორუფლებიანია მამაკაცთან, არა მარტო იმით, რომ სსრ კავშირის ყველა ხალხი სავსებით თანასწორუფლებიანია და რომ ჩამორჩენილ ეროვნებებს გაძლიერებული სახელმწიფო დახმარება ეწევათ. ჩვენი წყობილების დემოკრატიზმი ხასიათდება, გარდა ამისა, იმით, რომ ჩვენი კონსტიტუცია ლაპარაკობს მშრომელთა ისეთ უფლებებზე, როგორიცაა შრომის უფლება, დასვენების უფლება, უფლება უფასო განათლებისა თვით უმაღლეს განათლებამდე ყველა მშრომელისათვის. **(ტაში).** არაფერი ამის მსგავსს არ იცნობენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები. მათგან ყველაზე დემოკრატიულის ჩათვლითაც კი. მშრომელთა ასეთ უფლებებზე ლაპარაკობს მხოლოდ სტალინური კონსტიტუცია, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია, სოციალისტური დემოკრატიზმის კონსტიტუცია. **(ტაში).**

შეხედეთ არა მარტო კონსტიტუციას. აიღეთ უბრალო ფაქტები. აიღეთ ისეთი ფაქტი, როგორიცაა საზოგადოებრივი დამოკიდებულება შრომის უბრალო ადამიანისადმი. თუნდაც იმითთადმი, ვისაც ჩვენ ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების სტახანოველებს ვუწოდებთ. ჩვენს ქვეყანაში უბრალო მუშები და მუშა-ქალები, უბრალო, კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, რომლებმაც მოგვცეს წარმოებაში მუშაობის კარგი ნიმუშები, საყოველთაოდ ცნობილი და საპატიო ხდებიან. რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი, რომ უბრალო მუშებიდან და გლეხებიდან გამოსული სტახანოველები, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ არავინ იცნობდა, უცერესად ცნობილნი და ხალხის საყვარელი ადამიანები ხდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოგვცეს შრომის კარგი ნიმუშები ფაბრიკაში ან სხვა საზოგადოებრივ მეურნეობაში? **(ტაში).** განა რამე ამის მსგავსი შესაძლებელია ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც მუშის თვით შრომა, კაცმა რომ სთქვას, არავის აინტერესებს, პატრონს კი, რომლისთვისაც მუშა მუშაობს, აინტერესებს მხოლოდ ერთი რამ—მოგება, რასაც ამ შრომისაგან იღებს.

არცერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი წარმოიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ შრომის უბრალო ადამიანები, თავისი კარგი მუშაობით, მთელი ხალხისათვის ცნობილი გახდნენ. ჩვენში კი ეს ჩვეულებრივ მოვლენად გახდა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს როდი ხდება მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანთა საზიანოდ. მეურნეობისა და კულტურის მშენებელთა საზიანოდ! ჩვენი მშენებლობის ყველა დარგისა და შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სახის გამოჩენილი წარმომადგენლები, მთელი ჩვენი მშრომელი ინტელიგენცია გარემოსილია საზოგადოების ყურადღებით და სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით. ჩვენს ხელმძღვანელებს, რომლებიც მუშაობენ ხალხისათვის, რომლებიც პატიოსნად ხელმძღვანელობენ საქმის ამა თუ იმ დარგს, „ყველა საფუძველი აქვთ სარგებლობდნენ ხალხის ნდობითა და სიყვარულით“, როგორც ეს აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა. **(ტაში).**—ასეთი წყობილება, სადაც მშრომელნი ძალაუფლების სათავეში დგანან, და სადაც შრომის ადამიანს საზოგადოებაში საპატიო ადგილი ეკუთვნის, არ შეიძლება ყველა ქვეყნის მშრომელთა თანაგრძნობას არ იწვევდეს. ახალი საბჭოთა წყობილების საერთაშორისო მნიშვნელობა ჩვენს თვალწინ იზრდება.

შემდეგ ცნობილია აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. ხალხთა დიად მეგობრობაზე დამყარებულ სსრ კავშირს განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს სხვა სახელმწიფოთა შორის უდიდეს საერთაშორისო მოვლენებში.

საკმარისია აღინიშნოს საბჭოთა კავშირის პოზიცია თავისი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ესპანელი ხალხის მიმართ. საბჭოთა კავშირი არა თუ არ მალავდა თავის თანაგრძნობით დამოკიდებულებას რესპუბლიკური ესპანეთისადმი, არამედ აშკარად განაცხადა, რომ ესპანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმე მიაჩნია თავის მახლობელ საქმედ. მთელი პროგრესიული კაცობრიობის საქმედ. **(ტაში) შეძახილი: „ვივატ კამრად სტალინ!“ მქუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს რესპუბლიკურ ესპანეთს!“. „ვაშა!“**

რამდენად შორს არიან ესპანეთის დემოკრატიისათვის მხარდამჭერის ამ პატიოსანი პოზიციისაგან იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ყარს არ არიან დემოკრატიულ ქვეყნებად მოგვაჩვენონ თავი.

ან აიღეთ ჩინეთის ამბები. თავისი თანაგრძნობა ჩინეთის ხალხისადმი და დამოკიდებულება იაპონიის აგრესიისადმი საბჭოთა კავშირმა გამოხატა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის თავდაუსხმელობის პაქტის დადებით. **(ტაში).** მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი არცერთი ნაბიჯი, რომელიც გადაედგათ სხვა სახელმწიფოებს წინააღმდეგობის გასაწევად გაუგონარი აგრესიისათვის ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ. აქაც საბჭოთა კავშირი გამოიყოფა სახელმწიფოთა გუნდისაგან თავისი განსაკუთრებული პოზიციით, თავისი პატიოსანი დამოკიდებულებითა და გულწრფელი სიმპატიებით იმ ხალხისადმი, რომელმაც უცხოეთის აგრესია განიცადა. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა უცვლელი იყო ყველა ამ წლის განმავლობაში. მშვიდობიანობის უფრო ერთგულ და თანმიმდევარ მომხრეს ვერავინ გვიჩვენებს. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მშვიდობიანობის პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარებასა და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცებისაკენ მისწრაფებაში პოულობს თავის გამოხატულებას ჩვენი ქვეყნის რწმენა თავისი ძალებისადმი. **(ტაში).** ჩვენში სწარმოებს სახალხო მეურნეობის განუხრელი ზრდა, კულტურული მშენებლობის განუხრელი აღმავლობა და ჩვენ სრულიად არ გვჭირდება გარე ავანტიურები. დაე, ეს სხვებმა აკეთონ, თუ მათს ფეხქვეშ ასე გახურებულია ნიადაგი **(სიცილი, ტაში).** მაგრამ არ დავმალავ, ჩვენ ვზრუნავთ წითელ არმიასა და მის ძლიერებაზე. **(მქუხარე ტაში)** და არ გვავიწყდება შესაძლებელი ავანტიურები, განსაკუთრებით ფაშისტების მხრით.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც აშკარავდება ამჟამად სსრ კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა, ეს არის საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული პოლიტიკური გავლენა სხვა ქვეყნების მშრომელთა შეგნებასა და განწყობილებაზე.

თუ წინანდელი რევოლუციები მშრომელებში წარმოშობდნენ იმედის გაცრუებას რევოლუციური ბრძოლის მიმართ, წარმოშობდნენ თავისი ძალებისადმი ურწმენობას, ჩვენს რევოლუციას და მის სახელოვან 20 წლისთავს სხვა, პირდაპირ საწინააღმდეგო გავლენა აქვს. ახლა უკვე საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ მშრომელებს შეუძლიათ გასძლონ უკაპიტალისტებოდ და უმემამულებოდ, რომ მშრომელთა ხელისუფლება ყველაზე დიდი ძალაა ჩვენს დროში. **(ტაში).** ვინაც ამაში ეჭვი ეპარება, მას შეუძლია ახლა თავისი ხელით მოსინჯოს ახალი წყობილება და მისი მონაპოვარნი საბჭოების ხელისუფლების დროს. მონახულია მშრომელთა ხელისუფლების ცხოველმყოფელი ფორმა, გამოაშკარავებულია მისი სოციალისტური შინაარსიც. ბევრი რამ გააკეთეს ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა იმისათვის, რომ შეერყიათ მშრომელთა ნდობა თავისი ძალებისადმი. მაგრამ, ვკითხავთ, განა ოქტომბრის რევოლუციამ და ჩვენმა საბჭოთა წყობილებამ ცოტა რამ გააკეთა იმისათვის, რომ გაექარწყლებინა ეს უნდობლობა და გაემხნევებინა მშრომელები მთელს მსოფლიოში?

ზოგჯერ შეიძლება მოისმინოთ, რომ მშრომელებს ცოტა ძალღონე აქვთ, რომ ეს არ აკმარებს კაპიტალიზმის ტყვეობიდან თავის დასაღწევად. ბურჟუაზიამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩაენერგა ასეთი ცრურწმენა, რომ დაენერგა ეს უნდობლობა თავისი ძალებისადმი და ამისათვის სამსახურში აიყვანა ყველა ჯურის „სოციალისტები“ ყალბი სოციალისტური ბილეთით ჯიბეში. ამავე დროს საქმე, რა თქმა უნდა, იმაში კი არ არის, რომ მშრომელებს ძალღონე აკლიათ. საქმე მხოლოდ მასების არასაკმაო ორგანიზებულობაშია, ხოლო რაც მთავარია—არასაკმაო კლასობრივ შეგნებულობაში.

საბჭოთა კავშირი მისი დიადი სოციალისტური მონაპოვრებით, აქარწყლებს ყველა ამ ცრურწმენას და მუშათა და გლეხთა მასებს უნერგავს რწმენას თავისი ძალებისადმი. წინასწარმეტყველებას არ დავიწყებთ, არამედ მხოლოდ ერთ ფაქტს მოვაგონებთ. განა ბევრი იყო ჩვენს ქვეყანაში ისეთი ადამიანი, რომელსაც სწამდა ოქტომბრის გამარჯვება, თუნდაც ოქტომბრის აჯანყებამდე სულ რამდენიმე თვის წინათ? არც ისე ბევრი. მდგომარეობა მას შემდეგ ძალზე შეიცვალა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში ძირს უთხრის უნდობლობას თავისი ძალებისადმი მთელი მსოფლიოს [illegible] მშრომელთა მდგომარეობას, რომლებიც ოცნებობენ კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებაზე. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ეს აზრი სწრაფად მწიფდება ბევრი ქვეყნის მშრომელებში. მშრომელთა უნდობლობა თავისი ძალებისადმი ახლა სულ უფრო-და-უფრო სწრაფად გაქრება. გავიხსენოთ, როგორც გვასწავლიდა ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის წინა დღეებში, რომ „ყველაზე მთავარი, ჩაუნერგოთ ჩაგრულებს და მშრომელებს ნდობა თავისი ძალებისადმი“.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი ათეული წლის გამოცდილებამ მილიონობით მუშებს და გლეხებს ბევრი რამ ახალი ასწავლა, [illegible] თავისი ძალებს, [illegible] თავისი გამარჯვების შესაძლებლობისადმი უნდობლობის ცრურწმენებს—ამაშია ჩვენი გამარჯვების მთავარი, და მართლაც საერთაშორისო, მნიშვნელობა.

II. შეჯიბრება კაპიტალიზმთან

ჩვენს ქვეყანაში რომ სოციალიზმის წარმატებანი გავიგოთ, დღევანდელი საბჭოთა კავშირი უნდა შევადაროთ რევოლუციის წინადროინდელ რუსეთს. რა იყო ჩვენი ქვეყანა და რად იქცა იგი?

რევოლუციის წინადროინდელ რუსეთში ხელისუფლების სათავეში იდგნენ კაპიტალისტები და მემამულეები მეფის მეთაურობით, რომელსაც ხალხი „რუსეთის პირველ მემამულეს“ უწოდებდა. რუსეთი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა, უმთავრესად სამიწათმოქმედო. მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული და ბევრ რამეში ჩამორჩებოდა სხვა სახელმწიფოების მრეწველობას. ლენინმა მაშინდელ რუსეთზე სთქვა, რომ იგი იყო „წარმოუდგენლად, გაუგონრად ჩამორჩენილი ქვეყანა. ღატაკი და ნახევრადველური, აღჭურვილი თანამედროვე საწარმოო იარაღებით ინგლისზე ოთხჯერ უფრო ცუდად, გერმანიაზე ხუთჯერ უფრო ცუდად, ამერიკაზე ათჯერ უფრო ცუდად“. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მძიმე მრეწველობა, რომელიც იძლევა ისეთ საჭირო პროდუქციას, როგორიცაა ქვანახშირი, ნავთი, მადანი, რკინა, მანქანები, ქიმიური პროდუქტები. მიწის უმდიდრესი წიაღი ცუდად მუშავდებოდა. ყოველივე ამასთან ერთად მრეწველობის ყველაზე უფრო მსხვილ დარგებში მთავარი ბატონ-პატრონები იყვნენ არა რუსი, არამედ უცხოელი კაპიტალისტები. მოწყობილობას თავისი ფაბრიკა-ქარხნებისათვის უმეტეს შემთხვევაში საზღვარგარეთ ყიდულობდნენ. ყველაფერში სჩანდა ქვეყნის სამრეწველო ჩამორჩენილობა.

სოფლად სავსებით ბატონობდნენ მემამულეები და კულაკები, იასაულები და ერობის უფროსები. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვქონდა შემდეგი:

„70 მილიონამდე დესეტინა მიწა 30.000 დიდ მემამულეს და დაახლოვებით ამდენივე 10 მილიონ გლეხურ კომლს—აჰა ასეთია სურათის ძირითადი ფონი“.

რამდენიმე მილიონ გლეხს სრულიად არ ჰქონდა მიწა და ნათესი. გლეხების უმრავლესობა იტანჯებოდა მიწის სიმცირის გამო. სოფლის ორი მესამედი მშიერი ღარიბებისაგან შესდგებოდა. ღარიბი და საშუალო გლეხების უდიდესი მასა თავისი და მემამულისაგან იჯარით აღებული მიწის პატარა ნაკვეთებს ამუშავებდა ძველებური მამაპაპური წესით — კავით. ბევრ ადგილას სოფლად გავრცელებული იყო საბატონო ბეგარის სისტემა, ე. ი. მემამულის მიწის დამუშავება გლეხების მიერ მათივე ღატაკური ინვენტარით.

ოქტომბრის რევოლუცია მოხდა იმპერიალისტური ომის მეოთხე წელს, ომის, რომელმაც გააჩანაგა სახალხო მეურნეობა და ხალხის მასების მძიმე მდგომარეობა უკიდურესობამდე მიიყვანა. ამას მალე მიემატა ახალი უბედურებანი, რადგან მემამულეებმა და კაპიტალისტებმა, უცხოელი ინტერვენტების მხარდაჭერით, თავს მოგვახვიეს ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, რომელმაც ასეთი სამ წელზე მეტი წაგვართვა. სამოქალაქო ომმა უდიდესი მსხვერპლი მოითხოვა ჩვენგან. სამოქალაქო ომის მიწურულში მრეწველობის, რკინიგზებისა და სოფლის მეურნეობის დაცემა უკანასკნელ საზღვრამდე მივიდა. სოფლის მეურნეობა იძლეოდა ომამდელი პროდუქციის რაღაც ორ მესამედს. მრეწველობა კიდევ უფრო მეტად დაეცა და 1920 წელს იძლეოდა ომამდელი პროდუქციის მეოთხედზე ნაკლებს.

ასეთი ნგრევის დროს შეუდგა საბჭოთა ხელისუფლება სახალხო მეურნეობის აღდგენას, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის აღორძინებას. თითქოს მრავალი წელი იყო საჭირო. ბოლშევიკების მტრები გესლიანად ხითხითებდნენ. რა გამოვიდა ბოლოს? გამოვიდა ის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ძლევამოსილად შეასრულეს ეს ამოცანა მოკლე ხანში.

თუ მთელი მსხვილი მრეწველობის პროდუქცია (1926-27 წ. ფასებში) 1913 წ. შეადგენდა 11 მილიარდ მანეთს, 1920 წელს კი შემცირდა 1.7 მილიარდ მანეთამდე, მიმდინარე 1937 წელს იგი მიაღწევს 90 მილიარდზე მეტ მანეთს. ეს ნიშნავს, რომ ომამდელ დონესთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა უკვე რვაჯერ და უფრო მეტად. მიუმატეთ ამას კიდევ ერთი რამ—სამრეწველო პროდუქციის აღნიშნულ ომამდელ დონეს ჩვენ მივაღწიეთ მხოლოდ 1926 წელს. ამგვარად, სამრეწველო პროდუქციის გადიდება რვაჯერ და უფრო მეტად ომამდელ დონესთან შედარებით მოხდა მხოლოდ უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში. მრეწველობის ყველა დარგში ახლა სრული ტემპით არის გაშლილი მშენებლობა. ბევრ დარგში გატარებულია რადიკალური რეკონსტრუქცია თანამედროვე მოწინავე ტექნიკის საფუძველზე. მთელი რიგი უდიდესი სამრეწველო დარგები ახლად შექმნილა: მანქანათმშენებლობა, ქიმიის, მეტალურგიის და ა. შ. რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის მრეწველობა მსოფლიო [illegible] ადგილზე იდგა სხვა ქვეყნების შორის, ხოლო [illegible] ადგილზე—ევროპაში. ახლა მრეწველობის საერთო პროდუქციის მხრივ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები დგანან სსრ კავშირზე წინ. საბჭოთა კავშირის მრეწველობა პირველ ადგილზეა გამოსული ევროპაში. **(ტაში).**

მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობებში მკვეთრი ცვლილება მოხდა. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ჩვენში მილიონნახევარი უმუშევარი იყო. მაგრამ აი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში აღარ არის უმუშევრობა, აღარ არიან უმუშევრები. **(ტაში).** და ეს მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში არის 9-10 მილიონი უმუშევარი, გერმანიაში—3 მილიონზე მეტი უმუშევარი, ინგლისში—2 მილიონი უმუშევარი. ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა მრეწველობის მუშათა გადასვლა 7-საათიან სამუშაო დღეზე. და ეს გადაწყვეტილება ცხოვრებაში გატარდა; აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მავნე [illegible] და ზოგიერთ სხვა მძიმე სამუშაოზე ჩვენ მუშებს გვქონდა 6-საათიანი სამუშაო დღე. კაპიტალისტურ ქვეყნებში არ შეუძლიათ მუშებს იოცნებონ ასეთ მოკლე სამუშაო დღეზე. მრეწველობის მუშათა რიცხვი და მათი ხელფასი ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდება. ჯერ კიდევ 1928 წელს ხელფასის საერთო ფონდი შეადგენდა რვა მილიარდ მანეთზე ცოტათი მეტს, მიმდინარე 1937 წელს კი იგი შეადგენს 80 მილიარდ მანეთზე მეტს, ე. ი. დაახლოებით ათჯერ გაიზარდა. **(ტაში).**

თქვენ იცით, რომ ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მთავრობის დეკრეტი [illegible] მუშათა ხელფასის გადიდების შესახებ, რისთვისაც სახელმწიფოს ასიგნებული აქვს 100 მილიონი მანეთი ამა წლის უკანასკნელი 2 თვისათვის და 600 მილიონი მანეთი 1938 წლისათვის. **(ტაში).** ამავე დროს კაპიტალისტურ ყველა ქვეყანაში, გერმანიაში, იტალიაშიც, იაპონიაშიც, შეერთებულ შტატებში და ინგლისშიც უკანასკნელი წლების მანძილზე მუშათა ხელფასი არა თუ არ გადიდებულა, არამედ შემცირდა.

ყოველივე ეს მჭიდროდ [illegible] მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობის ზრდის [illegible] წარმატებას, [illegible] სოციალიზმის სხვა წარმატებებს, მოჰყვებოდა მუშათა მასების მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში მომხდარი [illegible] რევოლუცია [illegible] გლეხობისა და [illegible] ორგანიზაციაში. უკანასკნელ რამდენიმე წელს განხორციელდა [illegible] სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია [illegible]

[illegible] 450 ათასი, ხოლო მათი სიმძლავრე [illegible] 120 [illegible] 120 [illegible]

[illegible] 150 [illegible] **(ტაში).** [illegible]

(დასასრული იხ. 3-ე გვ.)

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება 1937 წლის 6 ნოემბერს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე

(დასასრული)

ნობის ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

რევოლუციის წინადროინდელ რუსეთში გლეხების უმეტესობა შესდგებოდა მშიერი ღარიბი გლეხობისაგან. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ჩვენ ვანგარიშობდით, რომ სოფლის არა ნაკლებ ერთი მესამედისა ღარიბი გლეხობისაგან შესდგებოდა. ახლა ჩვენში უკვე აღარ არის სოფლად ღარიბი გლეხობა. ღარიბი გლეხები ყველა მშრომელ სოფლელთან ერთად კოლმეურნეობებში აშენებენ ახალ ნამდვილად შეძლებულ და ნამდვილ კულტურულ ცხოვრებას (ტაში).

საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა კოლმეურნე გლეხობაზე წელს გამოიხატა მთელ რიგ ახალ სპეციალურ ღონისძიებებში. რომ აღარაფერი ვთქვათ კოლმეურნეთა ამასწინათ გამოქვეყნებულ შეღავათებზე სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების დარგში, წელს ძლიერ შემცირდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების ნორმები. ნორმების ეს შემცირება შარშანდელთან შედარებით აღწევს 20 პროცენტზე მეტს.

გამოწერილია აგრეთვე სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისათვის წინა წლებში სესხად მიცემული თესლი. ყველა ეს შეღავათი მარცვლეულის დარგში მარტო წელს შეადგენს 600 მილიონამდე ფუთს, რომელიც ახლა დარჩათ თვით კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს. რაღაც არ გაგვიგონია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთსავე მზრუნველობას იჩენდნენ გლეხობის კეთილდღეობისათვის.

დაე, გლეხებმა და მუშებმა შეადარონ, ვის მხარეზეა სიმართლე იმ შეჯიბრებაში, რომელიც სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის სწარმოებს. დაე, მუშებმა და გლეხებმა გამოიყვანონ აქედან თავისი დასკვნები. ალბათ ეს დასკვნები იქნება არა კაპიტალიზმის სასარგებლოდ, არამედ ჩვენი წყობილების სასარგებლოდ. (ტაში).

საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდის საერთო გამოხატულებას ვხედავთ ჩვენი ქვეყნის სახალხო შემოსავლის ზრდაში. ცნობილია, რომ მეფის რუსეთში მოსახლეობის ცხრა მეათედი შესდგებოდა მცირემქონე და უქონელი მასისაგან, რომლის ხელშიც იყო სახალხო შემოსავლის დაახლოებით მეოთხედი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობის მეათედი ნაწილი, რომელიც მდიდარი ადამიანებისაგან შესდგებოდა, იჭერდა სახალხო შემოსავლის დანარჩენ სამ მეოთხედს. მას შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ახლა მთელი სახალხო შემოსავალი მშრომელების ხელშია, ამასთან სახალხო შემოსავლის 99 პროცენტს ღებულობენ მუშები, მოსამსახურეები და გლეხები, რომლებიც სოციალისტურ მეურნეობაში მუშაობენ, და მხოლოდ შემოსავლის მეასედი მოდის მშრომელი ერთპიროვნული მეურნეებისა და არაკოოპერირებული შინამრეწველების წილად. ომამდელ დროსთან შედარებით სახალხო შემოსავალი საერთოდ წელს ხუთჯერ გაიზარდა. ასეთია ფაქტები, რომლებიც უნდა ვიცოდეთ.

რამდენიმე სიტყვა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ზრდაზე.

აი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ციფრები. მოსწავლეთა საერთო რიცხვი ყველა სასწავლებელში 1914 წ. 8 მილიონიდან გაიზარდა 38 მილიონამდე გასულ წელს. ამგვარად, გაიზარდა 4,7-ჯერ. ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, მოსწავლეთა რაოდენობა ათჯერ გაიზარდა. დაწყებით სკოლაში ახლა ყველა ბავშვი სწავლობს. მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სკოლებში გაიზარდა 18-ჯერ რევოლუციის წინადროსთან შედარებით. მოსწავლეთა რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის ერთიხუთად გაიზარდა. ახლა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 540 ათასი სტუდენტი, ფართოდ გაიშალა მოზრდილთა საერთოსაგანმანათლებლო სკოლები, სადაც სწავლობს 9 მილიონამდე კაცი. აღნიშნულ 38 მილიონ მოსწავლის გარდა მუშათა და კოლმეურნეთა სხვადასხვა სპეციალურ კურსებზე სწავლობდა 6,3 მილიონი კაცი და სკოლამდელ დაწესებულებებში მოსამზადებელი სწავლა მიიღო 4,3 მილიონმა ბავშვმა.

გაზეთების რაოდენობა, წიგნების გამოცემა და მათი ტირაჟი ბევრად გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება გაზეთების ტირაჟი და წიგნების გამოცემა ნაციონალურ ენებზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო ნაციონალურ კულტურათა ნამდვილი აყვავება, რომელნიც წინათ მძიმე, დაბეჩავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. კულტურული მშენებლობის უდიდეს აღმავლობას მოწმობს ჩვენი ხარჯების ზრდა განათლების დარგში. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ხარჯები განათლებისათვის, ერთად აღებული, გაიზარდა 33-ჯერ (ტაში). ეს ხარჯები მიმდინარე 1937 წელს აღწევს 18 მილიარდ მანეთზე მეტს.

აბა შეეჯიბრონ ამ ფაქტებს ბურჟუაზიული ქვეყნები, (ტაში). არც ერთ ამ ქვეყანას არ შეუძლია დაუპირისპიროს ამ ციფრებს საქმის რამდენადმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება კულტურის დარგში, სამაგიეროდ მოინახება ბევრი ისეთი ქვეყანა, რომლებიც უკანასკნელი 10—20 წლის განმავლობაში წინ კი არ წავიდნენ, არამედ უკან თავის კულტურულ მშენებლობაში.

რაზეა დაფუძნებული საბჭოთა წყობილების ეს წარმატებანი?

იმაზევე, რაზედაც დაფუძნებულია ოქტომბრის რევოლუციის ყველა სხვა წარმატება. ისინი დაფუძნებულია, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკების პარტიის სწორ პოლიტიკაზე (ტაში), პარტიის, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მთელ სოციალისტურ მშენებლობას. სოციალიზმის ყველა წარმატებაში, ყველა ჩვენს გამარჯვებაში ვხედავთ ლენინიზმის ყოვლისძლიერ ძალას. (ტაში). ჩვენ გავიმარჯვეთ ლენინიზმის ერთგულებით! (ტაში). ამას გვასწავლიდა და გვასწავლის ამხანაგი სტალინი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ლენინ-სტალინის პარტიას მიჰყავდით ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ: ოქტომბრის აჯანყების დღეებში; იმ პერიოდში, როდესაც საჭირო იყო თავი დაგვეღწია იმპერიალისტური ომის ცეცხლისაგან; სამოქალაქო ომის და ინტერვენტებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გმირულ წლებში; ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს, როდესაც ჩვენ გადავდიოდით ასე ვთქვათ, ახალ რელსებზე; ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გაშლის დროს; გლეხობის გადასვლისას კოლექტივიზაციის გზაზე; ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების წლებში. ჩვენ გამოვიარეთ დიდი სიძნელეები და გადავიტანეთ ბევრი გაჭირვება. ჩვენ პოზიცია პოზიციაზე უნდა დაგვეპყრო და მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა გვქონოდა. გზის მანათობელი ვარსკვლავი მთელს ჩვენს პოლიტიკაში იყო გლეხობასთან კავშირის საფუძველზე პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების ლენინური იდეა. ჩვენ მუდამ გვახსოვდა ლენინის მიერ 1921 წელს მოცემული დიადი ანდერძი:

> „სწორი ურთიერთობა გლეხობასთან 10—20 წლის განმავლობაში და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (პროლეტარული რევოლუციების გაჭიანურების დროსაც კი, რომლებიც იზრდება), წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრგვარდიული ტერორი გამოწვეული ტანჯვა 20—40 წლის განმავლობაში".

ჩვენ იმიტომ ვატარებდით ცხოვრებაში ასეთი წარმატებით ლენინის ამ ანდერძს, რომ მთელ ჩვენ საქმეს, მთელ ჩვენ მუშაობას ხელმძღვანელობდა ლენინის საქმის ღირსეული განმგრძობი, რომელსაც ეკუთვნის სოციალისტური რევოლუციის შესახებ ლენინური იდეების განვითარების დამსახურება — ჩვენი სტალინი. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს" „ვაშა").**

ჩვენი საქმის წარმატებანი ჩვენ მოვიპოვეთ რევოლუციის მტრებთან, ლენინიზმის მტრებთან ბრძოლებში.

პარტიაში შემძვრალ უცხო ელემენტებს და ყოველგვარ ბურჟუაზიულ გადაგვარებულებს, პროვოკატორებსა და ჯაშუშებს, ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის მსგავსებს, გაათვირებული იერიშები მოჰქონდათ იმისათვის, რათა ჩვენ სწორი გზიდან გადავეყენებინეთ, რათა მიეყვანათ პარტია კაპიტულაციამდე პირველი პროლეტარული რევოლუციის სიძნელეთა წინაშე. ასეთები იყვნენ არა მარტო ტროცკისტები, არამედ ყველა ეს მემარჯვენეები, მემარცხენეები, ზინოვიეველები, ბუხარინელები და სხვა ანტილენინური პაწაწა ჯგუფებიც.

ვიდრე მათ ცოცხით გამოვგვიდით ბოლშევიკური რიგებიდან, ჩვენ მოგვიხდა გვეწარმოებინა მთელი რიგი წლების განმავლობაში უდიდესი ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტიაში და მუშათა კლასში, მიგვეღო არაერთი ზომები პარტიული ერთიანობის დასაცავად და ჩვენი რიგების გასაწმენდად ბურჟუაზიის ყველა ამ აგენტებისაგან. რევოლუციამ გვიჩვენა, რომ პარტიაში ცოტა როდი იყო შემომძვრალი ასეთი უცხო ელემენტები, ხოლო ზოგიერთი მათგანი პირდაპირ შემოგზავნილიც იყო ჩვენს ორგანიზაციებში ჯერ კიდევ მეფის ოხრანკის, აგრეთვე უცხოეთის დაზვერვათა მიერ.

ჩვენს წინაშე ასეთი მთავარი ამოცანა იდგა: შეგვენარჩუნებინა მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან და უზრუნველგვეყო ამასთან მთელი სოციალისტური მშენებლობის წამყვანი ძალის — სოციალისტური ინდუსტრიის აღმავლობის ისეთი ტემპები, რომ უმოკლეს ვადაში გამოგვეყვანა ჩვენი ქვეყანა დიდი ჩამორჩენილობიდან, ეკონომიური ჩამორჩენილობიდან, ტექნიკური ჩამორჩენილობიდან, კულტურული და სამხედრო ჩამორჩენილობიდან. ამას პირდაპირ გვიკარნახებდა საშინაო და განსაკუთრებით საერთაშორისო ვითარება. დღეს, ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავზე, ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ, დაუტრაბახებლად, ვთქვათ: ძირითადად ეს ამოცანა ჩვენ წარმატებით გადავჭერით (ტაში). წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ახლა არ გვექნებოდა შესაძლებლობა, გვეთქვა, რომ სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ დარგებში ჩვენ უკვე გავართვით თავი ტექნიკური რეკონსტრუქციის იმ გეგმას, რომელიც თავის დროზე იქნა დაწესებული. ჩვენ არ გვექნებოდა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაც, რომელიც წარმოადგენს ჩვენი რევოლუციის მეორე ათეული წლის ყველაზე დიდ მონაპოვარს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმთან შეჯიბრების საკითხი ჩვენთვის უკვე გადაჭრილია. ეს საკითხი არათუ არ არის გადაჭრილი, —მისი მთლიანად გადაჭრა შეუძლებელიცაა სოციალიზმის გაუმარჯვებლად სხვა ქვეყნებში.

მარქსიზმი ჩვენ გვასწავლის იმას, რომ ექსპლოატატორების დამხობის შემდეგ კლასობრივი ბრძოლა არათუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, გაცილებით უფრო მწვავე ფორმებს ღებულობს. ეს მით უფრო იქნება პირველ სახელმწიფოს, რომელიც აშენებს სოციალიზმს მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში. მგონია, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ სოციალიზმისადმი მტრული ძალები ამ შემთხვევაში საზრდოობენ მთელი ამ საგარეო გარემოცვით და ცალკე თვითეული კაპიტალისტური ქვეყნით.

მარტო ჩვენ როდი ვადარებთ ჩვენს განვითარებას მდგომარეობასთან კაპიტალიზმის ქვეყნებში. ამას სჩადიან ჩვენი მტრებიც იმპერიალიზმის ბანაკიდან. ამ შედარებიდან ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს პრაქტიკულ დასკვნებს. ისინი კი აკეთებენ სხვა საწინააღმდეგო დასკვნებს. ერთი რამ ცხადია. კაპიტალიზმი თვითონ არ დაჰყრის იარაღს სოციალიზმის წარმატებების წინაშე, რომლებიც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში, ეს წარმატებანი ბურჟუაზიის ბანაკში იწვევენ გაფთრებულ გაბოროტებას, რომელიც სასოწარკვეთილების გაბოროტებაში გადადის. ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, როგორც ფაქტს.

ჰკარგავენ რა სულ ახალ-ახალ პოზიციებს აშკარა, ისე ვთქვათ, მშვიდობიან შეჯიბრებაში ძლევამოსილ სოციალიზმთან, ბურჟუაზია და განსაკუთრებით, მისი ფაშისტი ავაზაკები მიმართავენ ყველა და ყოველგვარ მუხანათობას, ყველა და ყოველგვარ ქურდულ სისაძაგლეს. ეს თვალნათლივ სჩანს ტროცკიზმის მაგალითზე, რომელიც უკვე დიდიხანია გადაიქცა ჯაშუშ-ტროცკიზმად, ჯაშუშების, მავნებლების, პროვოკატორებისა და ტერორისტების ხროვად. ამხანაგმა სტალინმა ბრწყინვალედ გადაგვიშალა ახლანდელი ტროცკიზმის დედაარსი. ეს როდია პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც თავისი პროგრამა უნდა ჰქონდეს და რომელიც მასების წინაშე თავის სახეს არ უნდა მალავდეს.

ჯაშუშ-ტროცკიზმი — ეს არის მზვერავების, მკვლელების და მავნებლების ბანდა, რომელსაც ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ხალხის უბოროტეს მტრებს ეპყრობიან (ტაში). მთელ ამ სისაძაგლეს, რამდენიც არ უნდა დაიქირაონ ისინი სამსახურში უცხოეთის დაზვერვებმა, ჩვენ, რა თქმა უნდა, კუდზე ფეხს დავაჭერთ...

ამაში ჩვენ ვხედავთ ერთერთ იმ პირობას, რომლებზეც დამოკიდებულია გულდამშვიდებული მუშაობა და მთავარ ფრონტებზე კაპიტალიზმთან ჩვენი შეჯიბრების წარმატება.

დღეს მთავარი შეჯიბრება კაპიტალიზმთან სწარმოებს სამეურნეო დარგში და ამიტომ მთავარ კრიტერიუმს (საზომს) ამ შეჯიბრებაში წარმოადგენს შრომის ნაყოფიერება. ჩვენ აქაც გვახსოვს ლენინის მითითება, რომ „შრომის ნაყოფიერება ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად".

ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ საქმეში ჩვენ საკმაო წარმატებები გვქონდეს, თუმცა ჩვენში არის ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც სანიმუშოდ ართმევენ თავს თავის საქმეს. მრეწველობის მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ტექნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, განსაკუთრებით ამერიკას. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრ რამეში ვერ შევძელით გამოგვეყენებინა სტახანოველების გამოცდილება იმისათვის, რომ ბოლშევიკურად დაგვეყენებინა ფეხზე ქარხნები და ფაბრიკები, მრეწველობის მთელი დარგები.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პირველ არსებით წარმატებებს ამ დარგში, განსაკუთრებით, როცა ჩვენ საბჭოთა კავშირს ვადარებთ სხვა ქვეყნებთან. აი უკვე 7—8 წელია, რაც უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნები, ისეთები, როგორც ამერიკა, გერმანია, ინგლისი, თითქმის ერთ ადგილს სტკეპნიან ერთი მუშის წლიური გამომუშავების ოდენობის მხრივ. ხოლო ამავე პერიოდში ე. ი. 1929 წლიდან, მუშის შრომის ნაყოფიერება ჩვენს მრეწველობაში გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად.

მარტო 1936 წლის—სტახანოვური მოძრაობის დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში, — შრომის ნაყოფიერება ჩვენს მსხვილ მრეწველობაში გადიდდა 21 პროცენტით. ჩვენს ქვეყანაში, სადაც კრიზისები არ არის, არ არსებობს დაბრკოლებანი შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდისათვის. პირიქით მხოლოდ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუშათა კადრებმა უკანასკნელი წლების მანძილზე აგებულ ქარხნებში უკვე განვლეს ტექნიკური სწავლების განსაზღვრული ვადა და ახლა მათ შეუძლიათ მოგვცენ შრომის ნაყოფიერების ნამდვილი აღმავლობა, ეს მოლოდინი სავსებით გამართლდება, თუ ჩვენი სამეურნეო, ინჟინერ-ტექნიკური და პროფკავშირული კადრები ჯეროვნად გაიგებენ თავის ამოცანებს, დაამსხვრევენ საქმის შემაფერხებელ ბიუროკრატიულ ზღუდეებს, და სერიოზულად მოეკიდებიან ხელს სტახანოველთა შრომის ორგანიზაციას.

დიდია ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანიც. ახლა კოლმეურნეობებში ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც კარგად აითვისეს არა მარტო ტრაქტორი, არამედ კომბაინიც. საკმარისია ითქვას, რომ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ კომბაინის საშუალო წლიური გამომუშავება მტს-ში იყო სულ 70 ჰექტარი, მაშინ როცა უკვე გასულ წელს მან მიაღწია 350 ჰექტარს, ე. ი. 3 წლის განმავლობაში ერთიხუთად გადიდდა.

გამოვიყვანოთ ყოველივე აქედან პრაქტიკული დასკვნები და, უწინარეს ყოვლისა, აღვიაროთ, რომ ჩვენში სოციალისტურად მუშაობს მხოლოდ ის ქარხანა, რომელიც **კარგ** პროდუქციას იძლევა არანაკლებს, არამედ **უფრო მეტს**, ვიდრე ასეთივე ქარხანა სსრ კავშირის საზღვრების გადაღმა. ჩვენმა კადრებმა უკვე მიაღწიეს დიდ წარმატებებს ტექნიკის დაუფლებაში. ამ წარმატებების ხორცი უნდა შევასხათ ფაბრიკებსა და ქარხნებში მაღალი, სოციალისტური საზოგადოების საკადრისი შრომის ნაყოფიერების სახით. მაშინ გადაიჭრება ბრძოლის ბედი კაპიტალიზმთან შეჯიბრების მთავარ ფრონტზე.

ბოლშევიკურად გავშალოთ ბრძოლა **შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის** მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში— ასეთია გადამწყვეტი ამოცანა.

III. პერსპექტივების შესახებ

ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდანვე არა მარტო მტრები, არამედ მრავალრიცხოვანი ყალბი „მეგობრებიც" მას უწინასწარმეტყველებდნენ მალე დაღუპვას. განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ ასეთ არგუმენტს: პროლეტარული რევოლუცია რუსეთში ნაადრევია, სოციალიზმი ერთ ქვეყანაში ვერ გაიმარჯვებსო. ამ ყბადრუკ ბურჟუაზიულ ცრურწმენას ლენინმა დაუპირდაპირა მეცნიერული, მარქსისტული, შეხედულება სოციალისტურ რევოლუციაზე, იმპერიალიზმის თავისებურებათა გათვალისწინებით. ჯერ კიდევ 1916 წელს ლენინი, სტატიაში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა" სწერდა:

> „კაპიტალიზმის განვითარება უაღრესად არათანაბრად ხდება სხვადასხვა ქვეყანაში. სხვანაირად არც შეიძლება იყოს სასაქონლო წარმოების დროს. აქედან გარდუვალი დასკვნა: სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებს ერთსადაიმავე დროს **ყველა** ქვეყანაში. იგი გაიმარჯვებს, თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, დანარჩენები კი განსაზღვრული დროის განმავლობაში დარჩებიან ბურჟუაზიულ ან წინაბურჟუაზიულ ქვეყნებად".

ლენინის ეს მეცნიერულად დამტკიცებული თეორიული დებულება მთლიანად დადასტურებულია პრაქტიკულადაც, დადასტურებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მილიონობით სახელოვან მშენებელთა მიერ.

ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში, როცა წინააღმდეგობებმა კაპიტალისტურ ბანაკში უკვე მიაღწიეს უკიდურეს სიმწვავეს. ამ წინააღმდეგობათა გამწვავებამ გამოიწვია პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ოქტომბრის რევოლუცია მოასწავებდა მსოფლიო კაპიტალიზმის ნგრევის დასაწყისს, სხვანაირად რომ ვთქვათ, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის დასაწყისს.

ამგვარად, მსოფლიო რევოლუცია უკვე დაიწყო. მაგრამ იგი დაიწყო კაპიტალიზმის არა მთელი ჯაჭვის ერთბაშად დამსხვრევის გზით, არამედ ცალკეული რგოლების დაშლის გზით. პირველი ასეთი რგოლი აღმოჩნდა ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთი, რომელიც შესცვალა სოციალისტურმა სახელმწიფომ.

მას შემდეგ პროლეტარული რევოლუცია, როგორც ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე მოვლენა, გახდა ხალხის მასების ყველა ნამდვილად პროგრესიულ, თუნდაც არა წმინდა კომუნისტურ მოძრაობათა დასაყრდენი. ახლა მასში პოულობენ დასაყრდენს ბრძოლაც მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისათვის ფაშისტების წინააღმდეგ და ბრძოლაც სუსტი ქვეყნების ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის იმპერიალისტური აგრესორების წინააღმდეგ. კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის აღარ არიან ისეთები, რომელთა მიჩნევა პროგრესის საიმედო დასაყრდენად შესაძლებელი იყოს. ყოველივე პროგრესიული სულ უფრო და უფრო უცხო ხდება მიხრწნილი კაპიტალიზმისათვის, ყოველივე პროგრესიულის ინტერესთა დაცვაში, კულტურისა და ნაციონალური თავისუფლების ინტერესთა დაცვაში ახლა უთვალსაჩინოესი ადგილი ეკუთვნის პირველ სოციალისტურ რევოლუციას **(მქუხარე ტაში).** ყოველივე პროგრესიული, ყოველივე პატიოსან-დემოკრატიული აქეთ მოილტვის, საბოლოოდ ჰკარგავს რა კაპიტალიზმის იმედებს. ამრიგად, ისტორიული განვითარების მსვლელობით კაპიტალიზმი მიდის თავისი აღსასრულისაკენ, უთმობს რა ადგილს მზარდ სოციალისტურ რევოლუციას **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა მთლიანად გაიმარჯვა **პოლიტიკურ** დარგში ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე ქვეყნის **ეკონომიკაში** ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კოლმეურნეობათა გზაზე გლეხთა მასების მობრუნების დროიდან, ე. ი. ეს უკვე 7—8 წლის ამბავია. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე **კულტურის** დარგში ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებულია ის ფაქტი, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ასე ბევრია გასაკეთებელი კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად ადამიანთა შეგნებაში. მათი აღმოფხვრა წარმატებით შეიძლება მხოლოდ სოციალისტური კულტურის ფართო აღმავლობით, მაგრამ სამაგიეროდ თვითეული ნაბიჯი ნამდვილად სოციალისტური კულტურის გზაზე არა მარტო იძლევა თავის დაუყოვნებლივ შედეგებს, არამედ ჰქმნის კიდევაც კომუნიზმში სოციალიზმის გადაზრდის წანამძღვარებს.

არკვევდა რა სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობას, ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა იმაზე, რომ „იგი ამზადებს პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად". ამხანაგი სტალინი იმავე სიტყვაში ასე ანვითარებდა ამ აზრს:

> „განა ცხადი არ არის, რომ სტახანოველები არიან ნოვატორები ჩვენს მრეწველობაში, რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს, რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის თესლს, რომ იგი ჩვენ გადაგვიშლის იმ გზას, რომელზედაც მხოლოდ შეიძლება მიღწეულ იქნეს შრომის ნაყოფიერების ის უმაღლესი მაჩვენებლები, რომლებიც აუცილებელია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირების მოსასპობად?".

ამიტომ „მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის საინჟინრო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე ამაღლების" ამოცანა, შრომელთა მთელი მასის კულტურულობის ამაღლებასთან ერთად,— ის ძირითადი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენი [illegible] მთავარი წარმატებანი.

კომუნიზმმა ჩვენს ცხოვრებაში იწყო შეჭრა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროიდან. მას შემდეგ გავლო ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ოცმა წელმა. რას მივაღწიეთ ჩვენ? როგორია საერთო შედეგი?

ჩვენ შევქმენით სოციალისტური საზოგადოება, რომელშიაც ადგილი არა აქვთ ექსპლოატატორებს, ადგილი არა აქვს ექსპლოატაციას. შექმნილია ახალი, უმაღლესი, ტიპის საზოგადოება. ჩვენი საზოგადოების ორი კლასის, მუშებისა და კოლმეურნე გლეხების ურთიერთდამოკიდებულებაში არათუ არ არის მტრობა და შეურიგებელი წინააღმდეგობანი, არამედ, პირიქით, ხდება დაახლოების პროცესი ცხოვრების პირობების, კულტურული განვითარების მხრივ, კომუნიზმისაკენ მათი მისწრაფების მხრივ.

ჩვენი ხალხი ახლებურად ცხოვრობს, რადგან სოციალიზმმა ჩვენი წყობილების ყველა ფორმა შეაღწია. ეს ახალი ცხოვრება ფრთებს ასხამს მშრომელებს, ჰბადებს მათში ახალ-ახალ ძალებს. ახალგაზრდობიდან, ჩვენი ბავშვებიდან, იზრდება ის თაობა, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს სოციალისტური საზოგადოების გიგანტურ და უფრო და უფრო მზარდ ამოცანებს.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველივე ხალხური უკვე სოციალისტური გამხდარიყოს. ჩვენს თვალწინ ნამდვილად სოციალისტური ხდება ხალხური, ხალხის მასებისათვის ახლობელი. მეორე მხრივ, ყველას შეუძლია დაინახოს, რომ ჩვენი ხალხის მშრომელი მასები შეიგრძნობენ როგორც ანტიხალხურს, როგორც ხალხისათვის უცხოს, ყოველივე ანტიკომუნისტურს, არის ეს პრაქტიკულ საქმეებში, თუ სამეცნიერო - შემოქმედებით დარგში. ჩვენში ჩვეულებრივი გახდა, რომ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ხალხის მტრებად მიიჩნიათ. უზენაესი საბჭოს არჩევნების პოლიტიკური კამპანია კი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო, გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო მშრომელთა ახალი მძლავრი დარაზმვის საქმედ (ტაში).

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა წინათ არნახული შინაგანი **მორალური და პოლიტიკური ერთიანობა ხალხისა.** სოციალისტური საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ერთიანობა **(ტაში).**

ხალხის ასეთ ერთიანობას არცერთი კაპიტალისტური ქვეყანა არ იცნობდა და არ იცნობს. კაპიტალისტურ საზოგადოებას შინაგანი წინააღმდეგობანი ღრღნიან. იქ გაბატონებული უმცირესობა, ექსპლოატატორული ზედაფენა მუდამ განკერძოებულია და უპირისპირდება ხალხს, უპირისპირდება ექსპლოატირებულ მასებს. ბურჟუაზია ჩვეულებრივ ფართოდ იყენებს საგარეო საფრთხეს თავისი წყობი[illegible] ამ მხრივაც ძალიან ცუდად აქვს საქმე. კაპიტალიზმი ყველას თვალწინ უფსკრულისაკენ მიექანება.

ჩვენი ქვეყნის ბედნიერება იმშია, რომ არ შეუშინდა რა სიძნელეებს, იგი გამოეთიშა კაპიტალისტური ლპობის საზოგადოებას. და აი ოცი წელია, რაც ჩვენ მივდივართ ჩვენი ახალი გზით, მივდივართ კომუნიზმისაკენ. იმის შეგნებით, რომ ჩვენ [illegible] ბედნიერება [illegible] სწორი გზა მთელი კაცობრიობის ნათელი ცხოვრებისაკენ. ეს აგზნებს ჩვენი ქვეყნის მასების შეგნებას და რაზმავს მშრომელებს.

საბჭოთა კავშირის ხალხის მასების მორალური და პოლიტიკური ერთიანობა გამოწრთობილია ბურჟუაზიულ-მემამულურ კლასებთან და უცხოელ ინტერვენტებთან გმირული ბრძოლის განსაცდელში. იგი განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში. მაგრამ მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების შექმნის შემდეგ, რომელშიაც დახშულია — ყველა კარი ექსპლოატატორებისათვის და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისათვის, [illegible] მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, რაც უდიდეს ძალას წარმოადგენს. ასეთი მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, ღრმა ინტერნაციონალიზმით გამსჭვალული, საბოლოოდ შეადუღა ერთ მთლიან საბჭოთა კავშირის ხალხებსა და ეროვნებებს. მასში დაინახავს თავისი მომავლის პროტოტიპს სხვა ქვეყნების ხალხებიც. ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას ჩვენს ქვეყანაში თავისი ცხოველი განსახიერებაც აქვს. ჩვენში არის სახელი, რომელიც სოციალიზმის გამარჯვების სიმბოლოა. ეს სახელი ამავე დროს არის საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლო. თქვენ იცით, რომ ეს სახელი—სტალინი! **(ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს!").**

ვლაპარაკობთ რა ჩვენს პერსპექტივებზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება. მაგრამ, თუ მშვიდობიანობა დაირღვევა, თუ ძაღლი ჯაჭვს აიწყვეტს და გვეძგერება ჩვენ, ჩვენს სახლს, რას ვიტყვით ჩვენ ამაზე? ჩვენ ვუპასუხებთ: დიდ მტერს გაბედავს და გამოცდილი სოციალისტური საზოგადოების მორალური და პოლიტიკური ერთიანობა! **(ტაში).**

ამ დღეებში ჩვენი გრძნობებისა და აზრების გამოხატვა შეიძლება უბრალო, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის გასაგები სიტყვებით: გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

უფრო მაღლა აღვმართოთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშა! **(ყველანი ფეხზე დგებიან. მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს!").**

სახლი გორში, სადაც დაიბადა ამხანაგი სტალინი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავის დღეებში ქალაქი გორი—დიდი სტალინის სამშობლო — უჩვეულო, განსაკუთრებით ნათელი, სასიხარულო სიცოცხლით ცხოვრობდა.

დიდ ზეიმზე—იმ რესტავრირებული სახლის გახსნაზე, სადაც დაიბადა და ბავშვობის პირველი წლები გაატარა იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინმა,**—თავი მოიყარა რაიონის რამდენიმე ათასმა მშრომელმა — მუშებმა, კოლმეურნეებმა, მოსამსახურეებმა, პიონერებმა, მოსწავლეებმა. ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქიდან, საქართველოს სხვა ქალაქებიდან და მეზობელ მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოვიდა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საწარმოების სტახანოველთა და დამკვრელთა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა დელეგაცია.

ზეიმზე შეკრებილნი არაჩვეულებრივი ინტერესით, სიყვარულითა და სიამაყით ათვალიერებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით რესტავრირებულ სახლს, სადაც დაიბადა ხალხთა დიდი ბელადი—ამხანაგი **სტალინი.** სახლი აღდგენილია იმ სახით, როგორც იგი იყო დაახლოებით 60 წლის წინათ. მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს იმ ოთახის უბრალო მორთულობას, სადაც ბავშვობისას ცხოვრობდა ამხანაგი **სტალინი** თავის მშობლებთან — ბესარიონ ივანეს-ძე და ეკატერინე გიორგისასულ **ჯუღაშვილებთან** ერთად. მეზობელ ოთახში გამოკრულია პორტრეტები, დოკუმენტების ფოტოსურათები, ქ. გორის ხედები და სხვა მასალები, რომლებიც შეეხებიან იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებს.

სახლის კედელზე მიკრულია თეთრი მარმარილოს დაფა წარწერით ქართულ და რუსულ ენაზე.

„აქ დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს და გაატარა თავისი ბავშვობა 1889 წლამდე დიდმა სტალინმა".

1937 წელს სახლის თავზე აგებულ იქნა საფარი პავილიონი, გვერდით აგებულია მუზეუმი—ბიბლიოთეკა, სადაც ასახულ იქნება სოციალისტურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელის და ორგანიზატორის —ამხანაგი **სტალინის** ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის სახელით მისალმებით გამოვიდა ამხ. **გ. სტურუა.**

ერთიმეორეზე გამოდიან მისალმებებით წარმომადგენელნი თბილისის საწარმოთა სტახანოველებისა, დამკვრელებისა და მუშებისა (ამხ. გეგეშიძე), საქართველოს ინტელიგენციისა (პროფ. მუსხელიშვილი), რაიონის კოლმეურნეობისა (ამხ. სადაგაშვილი), თბილისის კომკავშირის და ახალგაზრდობისა (ამხ. ჩოფიკაშვილი), ხელოვნებათა მუშაკებისა (დრამატურგი შალვა დადიანი), გორის რაიონის მასწავლებელთა და ინტელიგენციისა (მასწავლებელი ამხ. გლურჯიძე).

გულთბილად მისალმნენ შეკრებილნი რაიონის საუკეთესო [illegible] ამხ. ნატალია სადაგაშვილის გამოჩენას ტრიბუნაზე, რომელმაც საზეიმოდ ჰექტარზე ჩააბარა 700 ცენტნერი ჭარხალი და რომელიც წარდგენილია უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— დღეიდან ეს დღე განსაკუთრებით საზეიმოა,—განაცხადა მან. ოქტომბრის დიდი ოცი წლისთავის დღეებში ჩვენ ვხსნით სახლს, სადაც დაიბადა და თავისი პირველი წლები გაატარა ჩვენმა საყვარელმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა, ლენინის** თანამებრძოლმა და უახლოესმა მეგობარმა, ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელმა საქართველოსა და კავკასიაში.

მეტად გულთბილად და მიმზიდველად უამბობს იგი დამსწრეთ თუ როგორ მოიყვანა **ლენინ-სტალინის** პარტიამ საბჭოთა ხალხი ბედნიერ, [illegible] ცხოვრებამდე.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ათასობით და ათი ათასობით სტახანოველები, მოწინავე ადამიანები, [illegible] საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დახმარებით [illegible] საქმეს მოწინავე გავხდი.

დიდ ცოცხლობდეს და მრავალ წელს დღეგრძელობდეს ჩვენი მშობლიური [illegible] იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი.**

თბილისის კომკავშირის და ახალგაზრდობის სახელით შეკრებილთ მიესალმა ამხ. ჩოფიკაშვილი, რომელსაც არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშით.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს და მშრომელთა და მთელი მშრომელი კაცობრიობის თვალი მიპყრობილია იმ ისტორიული სახლისაკენ, სადაც დაიბადა ჩვენი სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრების შემოქმედი, ჩვენი საუკუნოს მეგობარი და მასწავლებელი ამხანაგი **სტალინი.**

მქუხარე აღფრთოვანებული ტაშით მიიღეს დამსწრეებმა დიდი ბელადის — საუკეთესო მეგობრის და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინისადმი** მისასალმებელი მიმართვის ტექსტი.

ამხანაგ სტალინის სახლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე ქ. გორში. ტრიბუნასთან სიტყვით გამოდის ამხ. გ. სტურუა.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

თავდაცვის სამინისტროს 9 ნოემბრის ცნობებით, მოგერიებულ იქნა მეამბოხეთა ცდა იერიში მიეტანათ რესპუბლიკელთა წინააღმდეგ კასა ესკალანტეს მახლობლად. მეამბოხეები დიდად დაზარალდნენ.

მდინარე ხარამის სექტორში რესპუბლიკელთა არტილერია ყუმბარებს უშენდა მეამბოხეებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ რესპუბლიკელთა პოზიციებს რკინიგზისა და პინგა'ონის მაღლობს შუა (არანხუესის ჩრდილო-აღმოსავლეთით 700 მეტრის მანძილზე).

უსერის რაიონში, სოფლის უბანში, რესპუბლიკელებმა მოიგერიეს მეამბოხეთა ცდა ხელთ ეგდოთ რამდენიმე შენობა, რომლებიც მათ ამ დღეებში დაჰკარგეს.

გვადალახარის სექტორში (მადრიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით) მეამბოხეები შეეცადნენ თავდასხმას, მაგრამ რესპუბლიკელებმა ქვემეხები დაუშინეს და იძულებული გახადეს უკან დაეხიათ.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

მეამბოხეები განაგრძობენ იერიშს რესპუბლიკელთა პოზიციებზე ზემო არაგონიაში. მაგრამ ყველა მათი ცდა რესპუბლიკელებმა მოიგერიეს. მეამბოხეებმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილო ჩინეთში

ნანკინი, 10 ნოემბერი (საკდესი). იაპონიის ჯარები ორი მხრით მიადგნენ ტაიიუანს (შანსის პროვინციის დედაქალაქი). ტაიიუანში დარჩა ჩინელთა 4 პოლკი ფუ ძო-ის სარდლობით, რომელიც სათავეში უდგას თავდაცვას.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ ჩინელი პარტიზანული რაზმები იაპონელთა ზურგში, შანსის და ხებეის პროვინციებში. 6 ნოემბერს მათ აიღეს დიდი ქალაქი პინდინჯოუ, რომელიც მდებარეობს შუა გზაზე ტაიიუანსა და შიძიაჯუანს შორის ჯენლინ-ტაიიუანის რკინიგზაზე. 8 ნოემბერს ჩინელთა რაზმებმა მოახერხეს უკან დაებრუნებინათ კანჩუანის სადგური, შუნდეს სამხრეთით, და ქალაქი ნანხე შუნდეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე. ქუჩებში ბრძოლების შემდეგ ჩინელმა ნაწილებმა გააძევეს იაპონელი ჯარები ქალაქ ჩენანიდან (ხებეის სამხრეთ ნაწილში, ხენანის საზღვრის მახლობლად). რკინიგზის ხიდები სადგურ შუნდეს ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩინელებმა დაანგრიეს. 8 ნოემბრიდან ხებეისა და ხენანის საზღვარზე მომქმედი იაპონელი ჯარების კავშირგაბმულობა მათს ბაზებთან ზურგში და ბეიპინთან შეწყვეტილია.

ხებეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში ჩინელმა რაზმებმა უკან დაიბრუნეს ქალაქები შენძე, ბო-ე, ლისიანი, გაოიანი, ჟენციუ და ანგო (ბეიპინ-ხანკოუს და ტიანძინ-პუკოუს რკინიგზებს შუა). უკანასკნელი ცნობით, ჩინელმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას იაპონელთა ზურგში, გააძევეს იაპონელი ნაწილები შუნდეს, ანიანის, ძი'აიანისა და მადოუს სადგურებიდან (ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე).

შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ მე-8 სახალხო-რევოლუციური არმიის ნაწილები შანსის ჩრდილო ნაწილში. მე-8 არმიის ერთი დივიზია ხო ლუნის მეთაურობით და ზოგიერთი სხვა ნაწილი აწარმოებენ ბრძოლას იანმინგუანის გასასვლელის დასაუფლებლად, რომელიც რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. მე-8 არმიის ორი დივიზია პენ დე-ხაის მეთაურობით მოქმედებს შიძიაჯუანის ჩრდილოეთით ჯენდინის რაიონში (შანსისა და ხებეის საზღვარზე). მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ნაწილები წინ მიიწევენ დასავლეთით ტაიიუანისაკენ, და სამხრეთით ანიანისაკენ, ამ ნაწილების ზურგში მომქმედმა ჩინელმა რაზმებმა ფაქტიურად მოსწყვიტეს ბაზებს მათი მოწინავე კოლონები. ჩინელთა რაზმებს დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობა.

შანსის ჩრდილო ნაწილში დანგრეულია ორი მთავარი გზატკეცილი: ერთი პინსინგუან-გუანინ-იუისიანის და მეორე იანმინგუან-დატუნისა. ამ გზებზე აფეთქებულია მთავარი ხიდები. მოსახლეობის დახმარების გამო ჩინელი რაზმები სურსათით მომარაგების მხრივ სიძნელეებს არ განიცდიან. იაპონელთა ჯარები მოკლებული არიან სურსათის მოწოდებას, ვინაიდან პარტიზანები და მოსახლეობა ხელში იგდებენ იაპონელთა ტრანსპორტებს სურსათითა და სამხედრო საჭურველით. უკანასკნელი კვირის განმავლობაში იაპონელებმა დაჰკარგეს 800-მდე ავტომობილი და 500-ზე მეტი ცხენი.

სამხრეთ ჩინეთში

ნანკინი, 9 ნოემბერი (საკდესი). გუშინ იაპონელები ცდილობდნენ დესანტი გადაესხათ კატარღებით ამოის ნავსადგურში (ფუძიანის პროვინცია). ერთი საათის საარტილერიო სროლის შემდეგ დესანტი დაბრუნდა სამხედრო გემებზე.

შანხაის რაიონში

შანხაი, 10 ნოემბერი (საკდესი). 10 ნოემბერს დილას იაპონელთა ჯარები გარსშემოერტყნენ თითქმის მთელ შანხაის. იაპონელები მთლიანად კონტროლს უწევენ ქალაქის დასავლეთ რაიონს („დასავლეთი ქალაქი“). 9 ნოემბერს დღისით მათ დაიკავეს ხუნჯაოს აეროდრომი, ხოლო საღამოსათვის იაპონელი ჯარების მექანიზებულმა კოლონამ დაიკავა ლუნხუა და, გავიდა რა მდინარე ვანპუსაკენ, გარს შემოერტყა ნანდაოს რაიონს. ნანდაოში დარჩა 10 ათასამდე ჩინელი ჯარისკაცი, უმთავრესად მცველი ნაწილები, პოლიცია და სხვა ირარეგულარული შეერთებანი. მოსახლეობამ მიატოვა ეს რაიონი. მცხოვრებთა ნაწილი გაჰყვა უკანდახეულ რეგულარული ჯარების ნაწილებს, ნაწილი გადავიდა ეგრეთწოდებულ ნეიტრალურ ზონაში საფრანგეთის კონცესიის საზღვარზე. დაახლოებით 60 ათასი მცხოვრები გადავიდა კონცესიის ტერიტორიაზე.

ეივე—ალიოხინის მატჩი

ამსტერდამი, 11 ნოემბერი (საკდესი). ალიოხინ-ეივეს საჭადრაკო მატჩის მე-15 პარტია, რომელიც გადადებული იყო მე-40 სვლის შემდეგ, 62 სვლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიში 9:6 ალიოხინის სასარგებლოდ.

ბოტვინიკ-ლევენფიშის მატჩი

ლენინგრადი, 10 ნოემბერი (საკდესი). მე-13 პარტია მატჩისა სსრ კავშირის პირველობაზე ჭადრაკში გადადებული იყო ისეთ მდგომარეობაში, სადაც ლევენფიშს მოგების დიდი შანსები ჰქონდა. ამ პარტიის დამთავრება არ მომხდარა. 10 ნოემბერს ბოტვინიკმა თამაშის განუახლებლად დასთმო პარტია.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 5:5 და 3 ყაიმი.

მატჩის პირობების თანახმად, გ. ი. ლევენფიში ინარჩუნებს სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდებას და ღებულობს გროსმეისტერის სახელწოდებას.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის საქართველოს ოლიმპიადა

10 ნოემბერს, ოლიმპიადის მესამე დღეს, ყველაზე საინტერესო იყო ზემოსვანეთის მომღერალთა გუნდის გამოსვლა შ. დადეშქელიანის ხელმძღვანელობით. მათ მშვენივრად შეასრულეს „სიმღერა სტალინზე“ ფერხული — ცერულით (მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისადმი), „სიმღერა ლენინზე“ ფერხულით და ცეკვების მთელი სერია. განსაკუთრებით კარგი იყო სვანი ბავშვების ცოცხალი და მიმზიდველი ცეკვები.

ოლიმპიადაზე ყველაზე მდიდარი რეპერტუარით მოვიდა აჭარა. კარგი იყო ქობულეთის რაიონის გუნდი ხინიძის ხელმძღვანელობით, ჩონგურზე დამკვრელი მოხუცი ბაჯელიძე, „ხორუმის“ შემსრულებელნი ხულოს რაიონიდან და ნორჩ მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელთაც საუცხოოდ შეასრულეს ცეკვები „ხორომი“, „ბაღდადური“ და „მთიულური“.

ახალციხის რაიონიდან კარგად მომზადებული გამოვიდა სომხური ცეკვების ანსამბლი ვართანოვის ხელმძღვანელობით, მან ლამაზად შეასრულა ძველი სომხური ცეკვა, „ალუი-პოხი“, „უზუნდარა“ და სხვ.

მშვენიერი იყო აგრეთვე ბავშვების ეთერ და ანა ხარისჭირაშვილების „ქართული“ და ნათელა ხარისჭირაშვილის „კინტოური“.

კარგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა „ხორუმის“ შემსრულებელი ჯგუფი ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, კიროვის სახელობის თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის მეჩონგურეთა ტრიო და „ხორუმის“ შემსრულებელ მოცეკვავე ბავშვთა ჯგუფი პლეხანოვის სახელობის კლუბიდან.

ლამაზად შეასრულა „მთიულური“ ცეკვა ხაშურელმა ბავშვმა ქვრივიშვილმა.

წარმატება ჰქონდა აგრეთვე ეთნოგრაფიულ გუნდს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.

ლუქსემბურგის რაიონიდან შედარებით უკეთესად გამოვიდნენ აშუღი მამედოვი და მოცეკვავეები.

საკმაოდ კარგი იყო აგრეთვე ცაგერის, თბილისის საზავოების მუშაკთა, სოფ. მარტყოფის, საგარეჯოს და ამბროლაურის მომღერალთა გუნდები.

ოლიმპიადის მესამე დღე დამთავრდა ფოთის რაიონის მომღერალთა გუნდის გამოსვლით.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადა.
სურათზე: მასობრივი ცეკვა „სიმგა“, ასრულებს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექტივი.
ფოტო სტოლიაროვისა და დავიდოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ჭადრაკი

სამი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა შეჯიბრება

5, 8 და 9 ნოემბერს ბაქოში ჩატარდა უზბეკეთის, აზერბეიჯანისა და საქართველოს მოჭადრაკეთა და მოშაშეთა შეჯიბრება.

სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებაში სხვადასხვა მიზეზის გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს სომხეთის წარმომადგენლებმა.

უზბეკეთის გუნდიდან თამაშობდნენ სკრიპნიკი, ნაიდოფი, ტეპლოვი, ზაქირხოჯაევი, უსტიმენკო, მალინოვსკი და მოშაშეები: პერელმანი, გავრილენკო, კუდრინი, ხალიკოვა.

აზერბეიჯანის გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ: მაესტრო ვ. მაკაგონოვი, მ. მაკაგონოვი, შიხლინსკი, სელიმხანოვი, როჟდესტვენსკაია, ეგიაზაროვი და მოშაშეები: ჩაჩატუროვი, ზელიკმანი, სრებნიცკი, ქერიმოვა.

საქართველოს გუნდში თამაშობდნენ: მაესტრო ვ. გოგლიძე, ებრალიძე, ვეიზერი, ფირცხალავა, კრეზბერგი, ს. აბრამიანი და მოშაშეები: გოსტ-ხორუჟევიჩი, ადამაანი, ავაქიანი, ცარევსკაია.

○

კენჭის ყრის თანახმად პირველი თამაში 5 ნოემბერს ჩატარდა აზერბეიჯანისა და უზბეკეთის გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს უზბეკეთის მოჭადრაკეებმა ანგარიშით: +2—1=2, მოშაშეებმა კი წააგეს ანგარიშით —2+1=1.

ამრიგად აზერბეიჯანისა და უზბეკეთის შეხვედრის საერთო შედეგი ყაიმია. თეულმა გუნდმა მოაგროვა ოთხნახევარი ქულა.

○

8 ნოემბერს უზბეკეთის გუნდს შეხვდნენ საქართველოს წარმომადგენლები.

მოჭადრაკეთა შეხვედრა დამთავრდა საქართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით +3—0=2; საქართველოს მოშაშეებმაც მოიგეს ეს შეხვედრა ანგარიშით +1—0=3.

გუნდების შეხვედრის საბოლოო შედეგია + 6½—2½ საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

○

9 ნოემბერს საქართველოს გუნდი ეთამაშა აზერბეიჯანის გუნდს და ჭადრაკში მოიგო ანგარიშით +3—0=2, ხოლო შაშებში წააგო ანგარიშით 0—1=3; საერთო შედეგია+ხუთნახევარი — სამნახევარი.

ამრიგად, ქულების რაოდენობით პირველ ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდი, რომელმაც მოაგროვა თორმეტი ქულა, თვრამეტი შესაძლებელიდან; მეორე ადგილი დაიკავა აზერბეიჯანის გუნდმა (+8 ქულა) და მესამე უზბეკეთმა (+7 ქულა).

○

აღსანიშნავია საქართველოს მოჭადრაკეთა წარმატება. მათ არ წაუგიათ არცერთი პარტია. საუკეთესო შედეგებს თავიანთ დაფებზე მიაღწიეს ვეიზერმა, ფირცხალავამ და კრეზბერგმა, რომელთაც მოიგეს ორ-ორი პარტია.

ა. ს.

კინო

„დიადი გარიჟრაჟი“

საქართველოს სახკინმრეწვის კინოსტუდია შეუდგა დიდი მხატვრული ფილმის „დიადი გარიჟრაჟის“ გადაღებას (სცენარი დაწერილია გ. ცაგარლისა და მ. ჭიაურელის მიერ).

ფილმის ამოცანაა მოუთხროს მაყურებელს, თუ როგორ აღსდგნენ მრავალერიანი რუსეთის ხალხები, ლენინ-სტალინის პარტიის დროშით თავისი უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად.

ვ. ი. ლენინის როლს ასრულებს თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის მსახიობი — კ. მიუფკე. მის გარდა, ფილმში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე, ს. ბალაშვილი (არსენას როლის შემსრულებელი კინოსურათ „არსენაში“) და სხვ.

ამჟამად მთელი მოსამზადებელი მუშაობა ძირითადად დამთავრებულია და დაწყებულია გადაღება. ივლისის ამბების და ოქტომბრის დღეების ეპიზოდები აღდგენილი და გადაღებული იქნება თბილისში, ფრონტის ეპიზოდები და ბრძოლის სცენები გადაღებული იქნება გორის რაიონში, სადაც ამ მიზნით სთხრიან სანგრებს.

„ვოლოჩაევკის დღეები“

ლენინგრადი (საკ. კორ.) ორდენოსანი რეჟისორები, ძმ. ვასილიევები („ჩაპაევის“ ავტორები) ამთავრებენ ახალ საიუბილეო სურათს „ვოლოჩაევკის დღეები“.

„ვოლოჩაევკის დღეები“ — დიდი მხატვრული ფილმია, რომელიც მოგვითხრობს პარტიზანულ ბრძოლაზე ინტერვენტების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში 1918—1922 წ. წ. პერიოდში. სურათის თემაა შორეული აღმოსავლეთის გმირული დაცვა რუსი ხალხის მიერ ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან.

სცენარის ავტორებმა და სურათის რეჟისორებმა ძმ. ვასილიევებმა სპეციალურად მოიარეს შორეული აღმოსავლეთი, სადაც გმირული ბრძოლების მონაწილეებთან საუბრით მრავალი ძვირფასი მასალა შეაგროვეს თავისი საიუბილეო სურათისათვის. სურათის შექმნის საქმეში ძმ. ვასილიევებს დიდი დახმარება გაუწიეს თავდაცვის სახალხო კომისარიატმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

საბჭოთა ალპინისტების მორიგი გამარჯვება

ყაზბეგი, 11 ნოემბერი. **(ჩვენი კორ).** დიადი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ალპურმა კლუბმა მოაწყო საოქტომბრო ალპინისტური ლაშქრობა კავკასიონის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალის ასაღებად. ეს მწვერვალი, რომელიც მდებარეობს მდინარე ხდის სათავესთან, ასვლის სიძნელის მხრივ თეთნულდს შეედრება.

9 ნოემბერს აღნიშნულ უსახელო მწვერვალზე პირველად ავიდნენ ალპინისტები ალპინიზმის ოსტატ ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. უსახელო მწვერვალს, რომლის სიმაღლეც 4.350 მეტრს უდრის, უწოდეს ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელი. ბერიას სახელობის პიკზე ავიდა 11 ალპინისტი.

ყველანი მშვიდობით დაბრუნდნენ უკან.

კ. ჯავრიშვილი

„ლიტერატურული მემკვიდრეობა“

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა შალვა რადიანის წიგნი „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (შევსებული და შესწორებული მეორე გამოცემა). წიგნში განხილულია ვრცლად ილია ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, რაფ. ერისთავის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, ი. ევდოშვილის და ჭ. ლომთათიძის შემოქმედება.

„ლიტერატურული მემკვიდრეობა“ შეიცავს 20 ნაბეჭდ ფორმას. მას სცემს გამომცემლობა „ფედერაცია“.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი №1533730, გაცემული ამხ. ხეჩო გიორგის-ძე მურადოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ.პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი №1526731, გაცემული საქ. კ.პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მიერ 1936 წ. 6 ივლისს ამხ. კინტირია ზუბას-ძე ძაძამიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

რ. ხალილოვი

რუსეთში რკინიგზის არსებობის ასი წელი

დღეს სრულდება ასი წელი მას შემდეგ, რაც რუსეთში გაიხსნა პირველი რკინიგზა. 1837 წლის 12 ნოემბერს პეტერბურგის ვაგზლის მოკლე ფიცრული პლატფორმიდან გავიდა პირველი მატარებელი მგზავრებით. მგზავრობას საათზე ცოტა მეტი თუ დასჭირდა—რკინიგზის ლიანდაგი გაყვანილი იყო მხოლოდ ცარსკოე სელომდე (ამჟამად ქალაქი პუშკინი) 28 კილომეტრის მანძილზე, და მას არავითარი ეკონომიური მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ამ გზის გაყვანას მეფის მთავრობა მეტისმეტად უხალისოდ დათანხმდა. იმდროინდელი მმართველები, გონებაშეზღუდული ადამიანები, ამტკიცებდნენ, რკინიგზა რუსეთისათვის სარფა არ არის და არც საჭიროაო.

მაგრამ რკინიგზების მშენებლობას იმ დროს მეტისმეტად სკეპტიკურად და უნდობლობით ეკიდებოდნენ არა მარტო მეფის რუსეთში. ინგლისელი მეეცხლურის ჯორჯ სტეფენსონის მიერ აგებული პირველი ორთქლმავალიც კი მხოლოდ 15 წლის შემდეგ იქნა ცნობილი სასარგებლო გამოგონებად იმდროინდელ ტექნიკურად მოწინავე ინგლისში. ვენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ფონ გერსტნერმა, რომელიც რუსეთში ჩამოვიდა, ნიკოლოზ I-ის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მიეცათ მისთვის მონოპოლია აეგო რუსეთში რკინიგზები 11 ათასი კილომეტრის მანძილზე.

მეფის მოხელეებს, გრაფ ტოლის—„გზების მთავარ მმართველის“—მეთაურობით, დიდხანს არ ესმოდათ რკინიგზების მნიშვნელობა.

მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, გერსტნერმა მაინც მოახერხა და, ინგლისში რკინიგზის შექმნიდან 12 წლის შემდეგ, მიიღო ნიკოლოზ I-ის ნებართვა რუსეთში „ცარსკოე სელოს“ პირველი გზის გაყვანისა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საზეიმო გახსნის შემდეგ რკინიგზა გადავიდა... ცხენით წევაზე. ორთქლმავალს გაუშვებდნენ ხოლმე მხოლოდ დღესასწაულობით ან იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მატარებლის წასვლისათვის მოგროვდებოდა 40 კაცი მაინც. ჩვეულებრივ კი ვაგონში ცხენებს აბამდნენ.

რეგულარული მოძრაობა დაიწყო მხოლოდ 1838 წლის 17 აპრილს, როდესაც ხაზზე დააყენეს ხუთი ორთქლმავალი: „მარდი“, „დევ-გმირი“, „არწივი“, „სპილო“ და „ლომი“, რომლებიც საზღვარგარეთიდან იყო გამოწერილი.

როგორც ცნობილია, ცარსკოე სელოს გზის გაყვანაზე მუშაობდა 2500 ყმა და 1400 ჯარისკაცი. რუსეთში პირველი რკინიგზის გაყვანამ, მას შემდეგ, რაც 12 წლის წინათ ამუშავებულ იქნა პირველი რკინიგზა ინგლისში, ხოლო შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა, ბავარიასა და ბელგიაში, თანამედროვეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. გაზეთი „სევერნაია პჩელა“ სწერდა: „ძნელია იმის გამოხატვა, თუ რა დიდებულად დაიძრა ეს ბუმბერაზი, რომელიც სუნთქავდა ცეცხლით, კვამლითა და ცხელი ორთქლით... გზის ორივე მხარეს მდგომი მაყურებლები განცვიფრდნენ, როდესაც დაინახეს მანქანის დიდებული, თანაბარი, მსუბუქი, მაგრამ ამავე დროს სწრაფი მოძრაობა“.

ცარსკოე სელოს გზა დიდი ზეიმით გაიხსნა 1837 წლის 30 ოქტომბერს (ძველი სტილით). ამ დღეს სტეფენსონის სისტემის ორთქლმავლისა და 8 ვაგონისაგან შემდგარი შემადგენლობით, რომელსაც თვით გერსტნერი მართავდა, იმპერატორი ნიკოლოზი სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრებთან, დიპლომატებთან და კარისკაცთა ამალასთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგიდან ცარსკოე სელოში ანუ, როგორც ხალხში ამბობდნენ, „სატახტო ქალაქიდან სამიკიტნოში“.

ორთქლმავლის მიახლოვებისას მოსახლეობას აფრთხილებდნენ არა საყვირებით („თავზარი“ რომ არ დაეცათ), არამედ ორღანის მუსიკით. ორღანები სპეციალურად ჩამოიტანეს საზღვარგარეთიდან.



პირველი რუსული ორთქლმავალი, გამოგონებული ჩერეპანოვის მიერ

პირველი მატარებელი საინტერესო სანახავი იყო. თავისებური პატარა ვაგონები და პატარა ზომის ორთქლმავალი ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ხმელეთის გემი“, არაფრით არ მოგვაგონებდნენ ახლანდელ მძლავრ, სწრაფმავალ სარკინიგზო შემადგენლობებს. ორთქლმავლის სიგრძე 4 მეტრს არ აღემატებოდა. ვაგონები ახდილ ურიკებს ჰგავანდნენ.

გზის გახსნისას თავი მოიყარა თითქმის ნახევარმა პეტერბურგმა. უკრავდა მუსიკა, მოისმოდა „ურას“ ძახილი. თუმცა უნდა ითქვას, რომ როდესაც ალტაცების პირველმა წუთებმა განვლო, მგზავრებმა ამჯობინეს ესარგებლათ ხოლმე დილიჟანსებით, რომლებიც დღეში რამდენჯერმე მიდიოდა ცარსკოე სელოში. ამ ტლანქ, ვიწრო, მრავალადგილიან კარეტებში ზაფხულობით კაცი სიცხისაგან ვერ სუნთქავდა და მტვერით იხრჩობოდა, ზამთარში კი ციოდა. მაგრამ დილიჟანსებით მგზავრობა გაცილებით იაფი ჯდებოდა. მთავარი კი ის იყო, რომ ისინი ყოველმხრივ უფრო ნაკლებ სახიფათოდ ეჩვენებოდათ, ვიდრე „ჩუგუნკა“, რომლის მოძრაობასაც ბევრი ასე ხსნიდა: „ეშმაკის ძალა ისე ჩაუჭედნიათ ქვაბში, რომ გამოსავალი არა აქვს და ამიტომ ძალაუნებურად მუშაობსო“.

ꝏ

ამას წინათ ნიჟნი ტაგილის (ურალი) არქივში აღმოაჩინეს მრავალი ახალი დოკუმენტები ეფიმ და მირონ ჩერეპანოვების — რუსეთში ორთქლმავალთა პირველი მშენებლების შესახებ. 1833 წელს მსხვილი მექარხნის დემიდოვის ყმებმა—მამამ და შვილმა ჩერეპანოვებმა, რომლებიც ურალზე დემიდოვის თუჯის ქარხანაში მუშაობდნენ, შექმნეს „ხმელეთის გემი“ და დააგეს ლიანდაგი ქარხნიდან მალაროებამდე. 1835 წელს ჩერეპანოვებმა ააშენეს ახალი ორთქლმავალი, რომელიც პირველზე ხუთჯერ ძლიერი იყო.

რუსეთში პირველი დიდი გზის — პეტერბურგ-მოსკოვის გზის მშენებლობა დაიწყო 1844 წელს და გაგრძელდა 1851 წლამდე. ამ გზის სიგრძე იყო 650 კილომეტრი. უკვე 1844 წელს გზაზე მუშაობდა 3500 მუშა, უმთავრესად მემამულეთა ყმები და ნაწილობრივ სახელმწიფო გლეხები, რომლებიც ცუდი გადამხდელები იყვნენ და რომლებსაც დასასჯელად რკინიგზის მშენებლობაზე ჰგზავნიდნენ. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები მეტისმეტად მძიმე იყო—საჭმელი ცოტა ჰქონდათ და ცუდი. მუშებს შორის მძვინვარებდა სურავანდი, სახადი და ხოლერა, ამან მუშებს შორის დიდი მღელვარება გამოიწვია.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ მეფის სტატისტიკის ოფიციალური ცნობები „პეტერბურგ-მოსკოვის რკინიგზის მშენებლობაზე მომუშავე მუშის ბიუჯეტის შესახებ. შემოსავალი: ხელფასი 6 თვის მუშაობისათვის—17 მ. 50 კ., გასავალი — 15 მ. 53 კ., ხელზე ერგება 1 მ. 97 კ.“

რუსეთში რკინიგზის ქსელის განვითარება თვით 1914 წლის ომამდე ნელა და არათანაბრად მიმდინარეობდა. ცენტრალურ გუბერნიებში ერთ ათას კვადრატულ კილომეტრზე მოდიოდა 18—22 კილომეტრი რკინიგზა, ხოლო ციმბირში და შუა აზიაში—ნახევარი კილომეტრიდან ერთ კილომეტრამდე.

საბჭოთა მთავრობა სწრაფად ჰკიდებს ხელს ტრანსპორტის აღდგენას.

80 წლის განმავლობაში მეფის მთავრობამ გაიყვანა 58 ათასი კილომეტრი რკინიგზა, ხოლო ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში გაყვანილ იქნა 27 ათას კილომეტრამდე რკინიგზა.

მგზავრების გადაყვანა 1913 წლის 185 მილიონი კაციდან 1936 წელს გაიზარდა 991 მილიონ კაცამდე.

ტვირთის გადაზიდვა 1913 წლის 132 მილიონი ტონიდან 1936 წელს გაიზარდა 484 მილიონ ტონამდე.

აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროცესში ტრანსპორტზე გაიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები—სტახანოველები, გამოზრდილნი პარტიისა და კომკავშირის მიერ, ორდენოსნები კრივონოსი, ბოგდანოვი, ოგნევი და სხვები.

ტექნიკურად ხელახლა იარაღდება საბჭოთა ტრანსპორტი. რევოლუციამდელი „სანთლების“ და „შჩ“ სერიის ორთქლმავლების ნაცვლად სატვირთო ლოკომოტივების ძირითად ტიპად გახდა ზემძლავრი სატვირთო ორთქლმავალი „ფძ“. სწრაფი მატარებლები დაჰყავს ზემძლავრ სამგზავრო ორთქლმავალს „ის“.

ამ საუცხოო ორთქლმავლებმა პარიზის გამოფენაზე საყოველთაო აღტაცება გამოიწვიეს. ფრანგი რკინიგზელები გულდასმით სინჯავდნენ საბჭოთა ორთქლმავლებს და საბჭოთა ტექნიკას ხოტბას ასხამდნენ. გაიზარდა საბჭოთა რკინიგზელების კულტურული დონე და საერთო კეთილდღეობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ სოციალისტურ ტრანსპორტს ამჟამად აქვს: 600 კლუბი, 900 წითელი კუთხე, 100 ვაგონი—კლუბი, 836 კინო-დანადგარი, 414 რადიოკვანძი, 74 ათასი რადიომიმღები, 220 მრავალტირაჟიანი გაზეთი, 356 საბავშვო ბაგა. მარტო ტრანსპორტელთა საბინაო მშენებლობაზე 1936 წელს დაიხარჯა 512 მილიონი მანეთი. საბჭოთა ხელისუფლებამ რკინიგზის ტრანსპორტის დარგში 20 წლის მანძილზე უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მეფის რუსეთმა 80 წლის განმავლობაში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი გადაიქცა „დიდ სარკინიგზო სახელმწიფოდ“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

12/XI წარმ. № 31	იცკა რიჟინაშვილი
14/XI წარმ. № 32	ფიგაროს ქორწინება

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. სალ. 9 საათ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ. სეზონი

12/XI	წარმოდგენა 29. გმირთა თაობა
15/XI	წარმოდგენა 30. ოტელო
16/XI	წარმოდგენა 31. გმირთა თაობა

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.
პიესა „ნაპერწკალზე“ სალაროს საშუალებით აღებული ბილეთების უკან დაბრუნება შეიძლება 12 ნოემბრის საღ. 9 საათამდე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

12/XI დილით	დახურული წარმოდგენა დაისი დასაწყისი 12 საათზე
12/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 18 ერთდრ. ბილ. სერია № 1 ბალეტი ესმერალდა
14/XI	მუდმ. ადგ. ტალ. № 19 ერთდრ. ბილეთის სერია № 1 დაისი

დასაწყისი 8 საათზე.
მუდმივი ადგილების მეორე გადასახადი უნდა იყოს შეტანილი 20 ნოემბრამდე.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 12 ნოემბერს
ორი სადღესასწაულო წარმოდგენა
ერთი დღისით დასაწყისი დღის 2 საათზე. მრავალფეროვანი პროგრამა და საღამოს დასაწყ. 8 ს. 30 წ. საუკეთესო ოსტატები. პროგრამა 3 განყ. დამს. არტ. ძმ. ტანტი ახალი რეპერტუარით. არტ. პასოს უკანასკნელი გამოსვლა. სალარო დილის 10 საათიდან.
13 ნოემბერს დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვ. ფილმი ნარინჯის ველი რუსულ ენაზე დასაწყისი 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ხმოვ. ფილმი ფიქრი ყაზახ გოლოტაზე დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ხმოვანი ფილმი საბჭოთა სამშობლოსათვის დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვ. ფილმი ნარინჯის ველი ქართ. ენაზე დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვ. ფილმი ცირკი ახალი ეგზემპლარი დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვ. ფილმი დარიკო დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი უშიშარნი დასაწყისი 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი კომედია ოქროს ტაიგა დასაწყ. 7 ს.
ახალი ამბები	ხმოვ. კინო-ნარკვევი თეთნულდის იერიში ხმოვ. ჟურნ. № 46

ა. დ. ქლენზი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8   17278

ექიმი
ი. ბეგთაბეგი
დაბრუნდა
ჯორჯაძის ქ. № 5.   1739

ცოლი მარია, შვილები: ქეთო, ანტონ, მათიკო, რძალი თამარ, შვილიშვილები ნანანა და ზურაბ მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ქმრის, მამის და ბაბუას
კირილე სპირიდონის-ძე კელენჯერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 და 13 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ცეტკინის 148 დაკრძალვა 14 ნოემბერს. გასვენება 4 საათ.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამ დივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიული — 3—57—61, სასოფლო სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მდივნის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფმ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 63.
მთავლიტის რწმუნებული ბ—3990